

ხელმონერილია სამშვიდობო შეთანხმებები, დამთავრებულია საომარი მოქმედებები, მაგრამ რჩება ომის შედეგის საფრთხე, აუფეთქებადი ნალმებისა და ფეთქებადსაშიში ნივთიერებების სახით.

ქვეითსაწინააღმდეგო ნალმი — ეს იმ ტიპის იარაღია, რომელიც ფეთქდება ადამიანის მიახლოების ან ზემოქმედების შედეგად. ტანკსაწინააღმდეგო ნალმები კი, იმ ტიპის იარაღს მიეკუთვნება, რომელიც ტრანსპორტის მიახლოებისას ან ზემოქმედების შედეგად აქტიურდება. ქვეითსაწინააღმდეგო ნალმები მოქმედებაში თვითონ მსხვერპლს მოჰყავს. ამასთან, სულერთია, ვინ მოიყვანს მოქმედებაში გამშვებ მექანიზმს, ბავშვი თუ ჯარისკაცი, ისინი ორივე მსხვერპლი ხდება. ნალმები, რომლებითაც დანაღმულია ტერიტორიები კონფლიქტის დროს, ქვეითი ჯარის წინააღმდეგ შეიძლება ამოქმედდეს ათწლეულების შემდეგაც კი, რის შედეგადაც, ზარალდება მშვიდობიანი მოსახლეობა.

კასეტური საბრძოლო მასალა შედგება კორპუს-კასეტებისაგან, რომელშიც მოთავსებულია ასეულობით მინიჭურვები. მიწიდან ან ჰაერიდან გაშვებული კასეტური საბრძოლო მასალა იშლება და ფანტავს ამ ჭურვებს საკმაოდ ფართო ტერიტორიაზე, რითაც საფრთხეს უქმნის მშვიდობიან მოსახლეობას, როგორც ომის დროს, ასევე საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგაც.

აუფეთქებელი საბრძოლო მასალა ნიშნავს ფეთქებად საბრძოლო მასალას, რომელიც დაიტენა, გააჩნია ამფეთქებელი, მოყვალნი იქნა საბრძოლო მდგომარეობაში ან სხვაგვარად მომზადდა და გამოყენებულ იქნა შეიარაღებულ კონფლიქტში. ის შეიძლება

ყოფილიყო გასროლილი, ჩამოგდებული, გაშვებული ან გატყორცნილი და უნდა აფეთქებულიყო, მაგრამ არ აფეთქდა. ომის შემდეგ დარჩენილი ეს არასტაბილური ფეთქებადი მოწყობილობები ისევე საშიშია, როგორც ნალმები.

მიტოვებული ფეთქებადი საბრძოლო მასალა ნიშნავს ფეთქებად საბრძოლო მასალას, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის მიმდინარეობისას არ გამოყენებულა, შეიარაღებული კონფლიქტის მხარის მიერ მიტოვებულ ან დაგდებულ იქნა და ამ მხარის კონტროლის ქვეშ აღარაა. მიტოვებული ფეთქებადი საბრძოლო მასალა შეიძლება ყოფილიყო დატენილი, ჰქონოდა ამფეთქებელი, მოყვანილი ყოფილიყო საბრძოლო მდგომარეობაში ან გამოსაყენებლად სხვაგვარად ყოფილიყო მომზადებული, ან-არა.

ომის ფეთქებადი ნარჩენები საერთაშორისო სამართლის ტერმინოლოგიით გულისხმობს **აუფეთქებელ საბრძოლო მასალას** ან **მიტოვებულ ფეთქებად საბრძოლო მასალას**. ნალმები ამ კლასიფიკაციაში არ შედის.

ქვეითსაწინააღმდეგო ნალმები, ფეთქებადსაშიში ნივთიერებები და მოწყობილობები სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენს მშვიდობიანი მოსახლეობისათვის. ეს საბრძოლო მასალები შეიძლება შეგვხვდეს: გზებზე, ბილიკებზე, მინდვრებში, ტყეში, საზღვრის გასწვრივ, საცხოვრებელი სახლებისა და სკოლების ტერიტორიაზე, ანუ იქ, სადაც ადამიანები ყოველდღიურად საქმიანობენ. მათი არსებობა მოსახლეობის თავისუფალ გადაადგილებას ზღუდავს და ხელს უშლის დევნილების და იძულებით გადაადგილებულების რეპატრაციას, აძინებებს ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებას. ეს იარაღი ინვესს შიშს დაზარალებულ მოსახლეობაში, მათ არ აქვთ საშუალება

ნორმალური ცხოვრებისა და განათლებისა. როცა არ არის საშუალება მიწის დამუშავების, როცა იხარჯება უზარმაზარი თანხები ქვეით-საწინააღმდეგო ნაღმებისა და ფეთქებად სა-შიში ნივთიერებებისაგან დაშავებული მო-სახლეობის დახმარებაზე, როცა სახელმწიფო იძულებულია დახარჯოს დიდი თანხა დაშავე-ბული პირების სამედიცინო მომსახურეობასა და დანალმული ტერიტორიების განმენდაზე, ნაცვლად იმისა, რომ ეს თანხა მოხმარდეს თუნდაც განათლებას, ნათელი ხდება, რომ ეს საბრძოლო მასალები არა მარტო საშინელ ტანჯვას აყენებს ადამიანებს, არამედ გადაუ-ლახავ ბარიერსაც წარმოადგენს განვითარებისა და აღდგენითი სამუშაოების წარმოე-ბის გზაზე საომარი კონფლიქტის შემდეგ.

ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების და ფეთქებადსაშიში მასალების მსოფლიო პრობ-ლემა შეიძლება მოგვარდეს.

ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალ-ვის 1997 წლის კონვენცია იძლევა საიმედო საფუძველს, რომ მონაწილე სახელმწიფოე-ბი შეწყვეტენ იმ მშვიდობიანი მოსახლეობის ტანჯვას, რომელიც დანალმულ ტერიტო-რიებზე ცხოვრობს. სახელმწიფოებმა, რომ-ლებიც ამ ხელშეკრულებას შეუერთდნენ, დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტონ ნაღმების წარმოება, გამოყენება, შენახვა და ტრანსპორ-ტირება. ოთხი წლის განმავლობაში მათ უნდა გაანადგურონ ყველა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი, რომელიც მათ მარაგშია, ხოლო ათი წლის განმავლობაში განალმონ ყველა დანალ-მული ტერიტორია, რომელიც მათ იურისდიქ-ციაში შედის. გარდა ამისა, მონაწილე სახელმ-წიფოებმა, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი შესაძლებლობა, მფარველობა და დახმარე-ბა უნდა გაუწიონ არა მარტო ნაღმებისაგან დაზარალებულ ხალხს, არამედ მათი ოჯახების წევრებსაც, ხელი შეუწყონ სასწავლო პროგრ-

ამებს, რომლებიც საშუალებას მისცემს მო-სახლეობას თავიდან აიცილოს უბედური შემ-თხვევები.

კასეტური საბრძოლო მასალების შესახებ კონვენციაზე ხელის მოწერა დაიწყო 2008 წლის 3 დეკემბრიდან. კონვენცია წარმოად-გენს შეთანხმების აუცილებელ პირობას კას-ეტური საბრძოლო მასალების აკრძალვის შეს-ახებ, მათი განურჩეველი მოქმედების და იმ რისკის გათვალისწინებით, რომელიც მოჰყვე-ბა საბრძოლო მასალების აუფეთქებლობას, ანუ გაუნადგურებლობას. კონვენცია აგრეთვე წარმოადგენს საფუძველს იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც დაკავშირებულია კასეტური საბრძოლო მასალების გამოყენე-ბასთან. 3

კონვენცია ავალდებულებს მონაწილე სახ-ელმწიფოებს, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ კა-სეტური იარაღის წარმოება, გამოყენება და მიწოდება. მათ უნდა გაანადგურონ ხელშეკ-რულებაზე ხელმოწერის შემდეგ, რვა წლის განმავლობაში კასეტური იარაღი იმ ტერიტო-რიებზე, რომლებიც თავიანთ იურისდიქციაში შედის. გააკონტროლონ და ათი წლის განმავ-ლობაში გაანადგურონ მათ მარაგში არსებული ყველა სახის აუფეთქებელი კასეტური იარაღი.

ინვალიდთა უფლებების დაცვის კონვენ-ციაზე დაყრდნობით, კონვენცია კასეტური იარაღის შესახებ ითვალისწინებს ახალ მიდ-გომებს: დაზარალებულებისათვის დახმარე-ბას, აგრეთვე დაღუპულთა, დაჭრილთა და მათი ოჯახების დახმარებას. ამას გარდა, მონაწილე სახელმწიფოებმა, რომელთაც აქვთ ამის საშუალება, უნდა გაანადგურონ დარჩენი-ლი კასეტური იარაღი, ხელი შეუწყონ ამ მიმარ-თულებით სასწავლო პროგრამების მუშაობასა და დაზარალებულთა დახმარების პროგრ-

ამების განხორციელებას. ერთადერთი ნორმატიული აქტი, რომელიც არეგულირებს ქმედებებს ომის შედეგად დარჩენილ აუფეთქებელ ნარჩენებთან დაკავშირებით, არის კონვენციის V პროტოკოლი (ჩვეულებრივი შეიარაღების სხვადასხვა სახეობების შესახებ). მიუხედავად იმისა, რომ მისი დებულებები აღიარებულია არასაკმარისად კასეტური იარაღის პრობლემების მოგვარებისათვის, V პროტოკოლი მაინც აწესებს საერთო პასუხისმგებლობას აუფეთქებელი ნარჩენების განადგურების შესახებ, მოითხოვს ინფორმაციის გაცვლას, შეიცავს დებულებებს სასწავლო პროგრამების განხორციელების შესახებ, აგრეთვე დაზარალებულთა დახმარების, საერთო ნაღმსაწინააღმდეგო მოქმედებების შესახებ. V პროტოკოლი აწესებს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ასაფეთქებელი ტიპის გამანადგურებელი საშუალებების გამოყენების შესახებ, ჰუმანიტარული პრობლემების მოგვარების ჩარჩოებში, რომლებიც გამონვეულია ასეთი ტიპის იარაღის ამოღებაზე სამხედრო კონფლიქტის დამთავრების შემდეგ.

ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის კამპანიისა (ICBL) და კასეტური იარაღის აკრძალვის კოალიციის (CMC) საბოლოო მიზანი არის: **მსოფლიო ნაღმების, კასეტური იარაღისა და ნარჩენი აუფეთქებელი ნივთიერებების გარეშე**, სადაც მოსახლეობას შეუძლია თავისუფლად გადაადგილდეს და არ ეშინოდეს, რომ ფეხს დაადგამს ნაღმს, ან ბავშვი თამაშის დროს აუფეთქებელ საბრძოლო ნივთიერებას სათამაშოდ აიღებს.

ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანია

ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანია დაარსდა 1992 წლის ოქტომბერში და მისი დამფუძნებელი იყო 6 საზოგადოებრივი ორგანიზაცია: **Handicap International, Human Rights Watch, medico international, Mines Advisory Group, Physicians for Human Rights and Vietnam Veterans of America Foundation**. ამ ორგანიზაციებმა აფრიკაში, აზიაში და ლათინურ ამერიკაში მუშაობის დროს ნახეს ნაღმების მოქმედების საშინელი შედეგები და იცოდნენ, რამდენად უკან წევდა ეს ქვეყნების განვითარებას; მათ კარგად გაიგეს და გაითავისეს, რომ ამ საშიშროებასთან საბრძოლველად, საჭიროა გადაწყვეტილება, რომელიც მიზნად დაისახავს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების სრულ აკრძალვას. დამაარსებელმა ორგანიზაციებმა საერთაშორისო კამპანიაში შეიტანეს ნაღმების ზემოქმედების შედეგების გარკვეული პრაქტიკული გამოცდილება. მათ ასევე შეძლეს, რომ ეს პრობლემა სხვა კუთხითაც განეხილათ, კერძოდ, ადამიანის უფლებების დაცვის, ბავშვთა უფლებების დაცვის, განვითარების კუთხით, დევნილთა პრობლემების, სამედიცინო და ჰუმანიტარული დახმარების კუთხით. საერთაშორისო კამპანიის მონაწილეებს მხარში ამოუდგა მრავალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია. მალე ამ კამპანიის საქმიანობის და ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის მცდელობის შესახებ ცნობა მთელ მსოფლიოში გავრცელდა. საერთაშორისო კამპანიამ ორგანიზება გაუწია კონფერენციებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, რათა ყურადღება მიეპყრო ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების პრობლემებზე, ამ ნაღმების აკრძალვისა და ამ პრობლემის საფუძვლიან შესწავლაზე, რათა ახალ მონაწილეებს ეფექ-

ტურად გაენიათ პროპაგანდა თავიანთ ქვეყნებში. ამ კამპანიის წევრები მუშაობენ ადგილობრივ ნაციონალურ, რეგიონალურ და მსოფლიო დონეზე იმისათვის რათა რაც შეიძლება მეტი ქვეყანა მიუერთდეს ხელშეკრულებას ნაღმების აკრძალვის შესახებ.

ხელშეკრულება ნაღმების აკრძალვის შესახებ 1997 წლის 3 დეკემბერს იყო ხელმოწერილი ქალაქ ოტავაში. ნაწილობრივ, ეს შესაძლებელი გახდა ამ ორგანიზაციის ხანგრძლივი და კოორდინირებული მუშაობის შედეგად.

1997 წელს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანიას, მის შემქმნელსა და კოორდინატორთან, ჯოდი უილიამსთან ერთად, მიენიჭა ნობელის პრემია მშვიდობის დამყარების საქმეში.

კამპანიის წარმატება იმითაც იყო განპირობებული, რომ მას გააჩნდა უნარი შეგუებოდა ცვალებად გარემოებებს. თავისი მოღვაწეობის დასაწყისში პირველ ამოცანად დაისახა ყოველმხრივი ხელშეკრულების დამუშავება ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების წარმოებისა და გამოყენების აკრძალვის შესახებ, ამის შემდეგ დაიწყო მუშაობა იმისათვის, რომ დაეყოლიებინა ქვეყნები ხელი მოეწერათ ხელშეკრულებაზე იმ რწმუნებულებებით, რომ აღებული ვალდებულებები პირნათლად იქნებოდა შესრულებული. საერთაშორისო კამპანია მინსწრაფვის იმისკენ, რათა ნაღმების გამოყენებაზე უარის თქმა საერთო მსოფლიო ნორმად იქცეს და მოუწოდებენ იმ ქვეყნებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ მოწერიათ ხელი ამ ხელშეკრულებაზე, შეუერთდნენ მას.

საერთაშორისო კამპანია დიდ ყურადღებას უთმობს ხელშეკრულების რეალიზაციას ნაღმების აკრძალვის შესახებ. ის ჩართულია

ერთობლივ საქმიანობაში სახელმწიფოსთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად ყველა ასპექტში, დაწყებული მარაგის განადგურებით და განალმვით, აგრეთვე დაზარალებულებისათვის დახმარების განევით.

ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანიამ 2007 წელს დაიწყო აქტიური მოღვაწეობა ოსლოს პროცესის მხარდასაჭერად და გამართა მოლაპარაკებები კასეტური იარაღის აკრძალვის შესახებ. მან დაიწყო თანამშრომლობა კოალიციის სხვა წევრებთან კასეტური იარაღის საშიშროების შესახებ პროპაგანდის მიზნით. მათი მიზანი იყო, კიდევ ერთი კრიზისის თავიდან აცილება, რომელიც ნაღმების გამოყენების დროს შექმნილი სიტუაციის მსგავსი იყო, რადგან კასეტური იარაღის გამოყენების შემდეგ რჩება აუფეთქებელი ელემენტები, რომლებიც თავიანთი შემდგომი მოქმედებით მსგავსია ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებისა.

კოალიცია კასეტური იარაღის აკრძალვის შესახებ

ეს კოალიცია მოქმედებს კასეტური იარაღისაგან სამოქალაქო მოსახლეობის დასაცავად და მხარს უჭერს კონვენციას კასეტური იარაღის შესახებ. კოალიცია აერთიანებს ორგანიზაციებს მსოფლიოს 80 ქვეყნიდან.

კოალიცია კასეტური იარაღის შესახებ, აერთიანებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ძალისხმევას საერთოდ მშვიდობის დასამყარებლად და იღწვის იმისათვის, რომ მიანოდოს ინფორმაცია სახელმწიფოებს, საინფორმაციო საშუალებებს იმ მსოფლიო პრობლემის შესახებ, რომელიც იქმნება კასეტური იარაღის გამოყენებისას და მიუთითებს ამ პრობ-

ლემის მოგვარების გზებზე. როგორც ქვეით-საწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის კამპანია, კოალიცია კასეტური იარაღის შესახებ, დაარსდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ, მსოფლიო პრობლემების პასუხად, კერძოდ, კასეტური იარაღით დაზარალებულთა დასახმარებლად.

2007 — 2008 წლებში კოალიცია აქტიურად ჩაება ოსლოს დიპლომატიურ პროცესში, რომელიც მიმართული იყო კასეტური იარაღის აკრძალვისაკენ. ამ ძალისხმევის შედეგად 2008 წელს მიღებული და ხელმოწერილი იქნა კონვენცია კასეტური იარაღის შესახებ, რომელიც ამჟამად აღიარებულია მასშტაბურ პროფილაქტიკურ საშუალებად იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოში კასეტური იარაღის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი იყო გამოყენებული.

2009 წელს კოალიციის პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენდა საერთაშორისო კამპანიის დასრულება, რომელიც უზრუნველყოფდა კონვენციის სწრაფ რატიფიკაციას 30 მონაწილე სახელმწიფოს მიერ, რათა ის შესულიყო ძალაში და ოფიციალურად დაწყებულიყო მისი რეალიზაციის პროცესი. კოალიცია კასეტური იარაღის შესახებ, გააგრძელებს კამპანიას იმ ქვეყნებში, რომლებმაც ხელი არ მოაწერეს კონვენციას, რათა დაარწმუნოს ისინი რაც შეიძლება ჩქარა მოაწერონ ხელი კონვენციას გაეროს შტაბ-ბინაში. გარდა ამისა, კოალიცია დაკავებულია იმით, რომ მოაწილოს მონაწილე ქვეყნების პირველი შეხვედრა და მუშაობს მონაწილე ქვეყნებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ თავისი მოვალეობების ეფექტურ შესრულებას.

კვლევითი პროგრამა

Landmine Monitor

Landmine Monitor — ი ეს კვლევითი და მონიტორინგის პროგრამაა, რომელიც ტარდება ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანიისა და კოალიცია კასეტური იარაღის შესახებ ჩარჩოში. ეს პროგრამა თვალს ადევნებს ხელშეკრულების რეჟიმს ნაღმებისა და კასეტური იარაღის აკრძალვის შესახებ. პროგრამა ახორციელებს მონიტორინგს და აფასებს საერთაშორისო საზოგადოების რეაქციას ჰუმანიტარულ პრობლემებზე, რომლებიც გამოიწვია ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებმა და აუფეთქებელმა ნივთიერებებმა. **Landmine Monitor** — ი აღნიშნავს რომ, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა პირველად შეძლეს თავი მოეყარათ ერთად, რათა თვალყური ედევნებინათ ჰუმანიტარული განვითარების სფეროსათვის და მონაწილეობა მიეღოთ განიარაღების სფეროში ხელშეკრულების შემუშავებაში, რეგულარულად დაეფიქსირებინათ მიღწეული შედეგები და წარმოქმნილი ახალი პრობლემები, ასევე პრაქტიკულად განეხორციელებინათ სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან კონტროლის კონცეფცია. **1998** წელს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანიამ ოფიციალურად თანხმობა განაცხადა პროგრამა **Landmine monitor** — ის შექმნის შესახებ, ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანიის ინიციატივის ფარგლებში. **2008** წელს პროგრამა **Landmine monitor** — ი ასევე გახდა კასეტური იარაღის შესახებ კოალიციის სამეცნიერო კვლევითი ქვეგანყოფილება. სარედაქციო კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედის 5 ადამიანი, კოორდინაციას უწევს **Landmine monitor** — ის სტრუქტურას: ორგანიზაცია

Mines Action Canada გამოდის წამყვანი სააგენტოს როლში. პროგრამა **Landmine monitor** — ი არის უბრალო ტექნიკური კონტროლის სისტემა და ინსპექტირების ფორმალური რეჟიმი, ეს არის ცდა სამოქალაქო საზოგადოებისა, აიძულოს სხვადასხვა ქვეყნის მთავრობა შეასრულოს თავისი ვალდებულებები ქვეით-საწინააღმდეგო ნაღმებთან და კასეტურ იარაღთან დაკავშირებით. აქვე ხდება ინფორმაციის გულდასმით შეგროვება, ანალიზი და ამ ინფორმაციის საჯაროდ გავრცელება.

Landmine Monitor — ის 2009 წლის მოხსენება ყოველწლიურ მოხსენებებში 1999 წლიდან მოყოლებული რიგით მეთერთმეტეა. ყველა წინა 10 მოხსენება წარედგინება ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებს.

1999 — 2009 წლების ძირითადი მონაცემები

- ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენება სახელმწიფო დონეზე, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში საკმაოდ შემცირდა, 1999 წელს **Landmine monitor** — ის განცხადებით, ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებს 15 სახელმწიფო იყენებდა. ხოლო 2007 წელს კი, მხოლოდ 2 ქვეყანა: მიანმა და რუსეთი.

- ასევე შემცირდა ნაღმების გამოყენება არაფორმალური შეირაღებული ფორმირებების მიერ. ბოლო 10 წლის განმავლობაში 13 ქვეყნის დაახლოებით 59—მა შეირაღებულმა ფორმირებამ შეწყვიტა ნაღმების გამოყენება.

- ხელშეკრულებაში ნაღმების აკრძალვის შესახებ მონაწილეობს 156 ქვეყანა, ეს მთელი მსოფლიოს 75%-ია. იმისათვის რომ, მთელი მსოფლიო გაერთიანდეს ამ ხელშეკრულების გარშემო, საჭიროა მიუერთდეს კიდევ 39 ქვეყანა, მათ შორის ჩინეთი, ინდოეთი, პაკისტანი, რუსეთი და ამერიკის შეერთებული შტატები.

ბოლო დროს ხელშეკრულებას შეუერთდა კიდევ ორი ქვეყანა, პოლონეთი და მარშალის კუნძულები.

- ნაღმების მწარმოებელმა 38—მა ქვეყანამ დახურა ნაღმების საწარმოები. დღესდღეობით ფაქტიურად, ნაღმებს აწარმოებს მხოლოდ 13 ქვეყანა.

- უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, ნაღმებით ვაჭრობა შემოიფარგლება უმნიშვნელო რაოდენობით, უმეტესწილად ეს არაკანონიერი გარიგებებია.

- ხელშეკრულების დარღვევის ერთადერთი დადასტურებული შემთხვევა დაფიქსირდა მარაგების განადგურების საკითხებში; კერძოდ ბელორუსიამ, საბერძნეთმა და თურქეთმა დაარღვიეს მარაგის განადგურების ვადები, რომელიც 2008 წლის 1 მარტს გავიდა. 2009 წლის სექტემბრისათვის ეს დარღვევები ისევ არ იყო აღმოფხვრილი.

- ამჟამად ნაღმების მარაგი გაანადგურა ხელშეკრულებაში მონაწილე 80—მა ქვეყანამ. კიდევ 4 სახელმწიფო აგრძელებს მარაგების განადგურებას, მთლიანად ამ სახელმწიფოებმა გაანადგურეს 44 მილიონი ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი.

- 11—მა სახელმწიფომ მთლიანად განაღმა ყველა დანალმული ტერიტორია, მაგალითად: ბულგარეთმა, გვატემალამ, ჰონდურასმა, კოსტა-რიკამ, მაკედონიამ, მალავიამ, სალვადორმა, სვაზილენდმა, სურინამიმ, საფრანგეთმა და ტუნისმა.

- 1999 წლიდან დღემდე თითქმის 90 სახელმწიფოში მთლიანად განაღმული იყო 1100 კვ. კილომეტრი და 2110 კვ. კილომეტრის საომარი მოქმედებების ზონები. ამ ოპერაციის შედეგად განადგურებული იყო 2,2 მილიონზე მეტი ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი, 250 000 ტანკსაწინააღმდეგო და ომის დანატოვარი 17 მილიონი ფეთქებადსაშიში ნივთიერება.

- 2009 წლის აგვისტოს მონაცემებით

ნაღმებით დაზარალებულად 70 ქვეყანა აცხადებს თავს.

- უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში საკმაოდ გაიზარდა ნაღმების გაცნობიერების საკითხებში სწავლება და რისკის ზონებში მცხოვრები მშვიდობიანი მოსახლეობის მომზადება, რათა თავიდან აიცილონ და/ან შეამცირონ საფრთხე.

- ნაღმების განადგურებამ და მოსახლეობის ნაღმსაშიშროების გაცნობიერების პროგრამების რეალიზაციამ, საგრძნობლად შეამცირა აფეთქებების რაოდენობა. დაზარალებულთა ამჟამინდელი რაოდენობა საგრძნობლად დაბალია, ვიდრე წინა პერიოდში: თუ ადრე აფეთქების რიცხვი წელიწადში შეადგენდა 20 000-ს, 2008 წელს მისი რიცხვი 5 200 მდე შემცირდა.

- მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ინფორმაციის შეგროვება სიძნელეებთან არის დაკავშირებული **Landmine monitor** — ის წარმომადგენლებმა დაადგინეს, რომ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების და თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების მოქმედების შემდგომ მსხვერპლთა რაოდენობა 119 ქვეყნის ტერიტორიაზე უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში შეადგენს არანაკლებ 73 576.

- საერთაშორისო დახმარებამ, რომელიც გამოიყო განაღმვითი — გამწმენდი სამუშაოების ჩასატარებლად, შეადგინა 4,27 მილიარდი აშშ დოლარი.

- მიუხედავად მაღალი ფინანსური დახმარებისა, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, მაინც ყველაზე ნაკლებად წარმატებული იყო დაზარალებულთა დახმარების პროგრამები. ეს დახმარება ყოველმხრივ არასაკმარისი აღმოჩნდა, როგორც ფინანსებით, ისე ფუნქციონირებით. ძალისხმევა კონცენტრირებული იყო ძირითადად სამედიცინო დახმარებაზე და ფიზიკურ რეაბილიტაციაზე, იმის ნაცვლად, რომ აქცენტი გაკეთებულიყო

ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებით დაზარალებული პირების და მათი ოჯახების ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე.

- პირველ მიმოხილვით კონფერენციაზე გადაწყდა, რომ 23-მა მონაწილე ქვეყანამ, რომლებიც ყველაზე მეტად არიან დაზარალებული, უფრო მეტი ძალისხმევა უნდა მიმართონ დაზარალებულთა საჭიროებების უზრუნველსაყოფად. 2005-2009 წლებში 26 მონაწილე ქვეყნის მოღვაწეობის შედეგები სხვადასხვაგვარი აღმოჩნდა. კოორდინაციის მხრივ უფრო მეტი წარმატება იქნა მიღწეული, ვიდრე კონკრეტული მოქმედებების რეალიზაციაში, ამ სახელმწიფოების მოღვაწეობა ხშირად ნაკლებად შეესაბამებოდა პირველად გეგმებს.

აკრძალვის პოლიტიკა

1999 — 2009 წლების მიმოხილვა

ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის კონვენციაზე ხელი აქვს მოწერილი 156 ქვეყანას (მთელი მსოფლიო ქვეყნების 3/4-ზე მეტი).

კონვენციას ჯერ კიდევ არ არიან მიერთებული ისეთი დიდი ქვეყნები, როგორებიც არიან: ინდოეთი, ჩინეთი, პაკისტანი, რუსეთი და აშშ-ს.

ამ ხელშეკრულების ყველაზე დიდი მიღწევა არის ის, რომ რამდენიმე საერთაშორისო გაერთიანება გამოხატავს ნაღმების გამოყენებას.

უკანასკნელ ათწლეულში ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები ნაკლებად გამოიყენება. 1999 წელს **Landmine monitor**—ის მონაცემებით დარეგისტრირებული იყო ნაღმების სავარაუდო გამოყენება 15 სახელმწიფოს მიერ. მაგრამ 2004 წლიდან ამ სახელმწიფოების

რიცხვი 4—მდე შემცირდა. მათ შორის არიან საქართველო, მიანმი, ნეპალი და რუსეთის ფედერაცია. მიმდინარე წლის მოხსენებაში, როგორც დასტურდება, 2007—2008 წლებში ნაღმები მხოლოდ მიანმის და რუსეთში გამოიყენეს. პასუხისმგებლობამ, რომელსაც აკისრებს ნაღმების გამოყენების ყოველმხრივი აკრძალვა ქვეყნებს, საბოლოოდ მიგვიყვანა ნაღმების გამოყენების შემცირებამდე, ქვეყნების არაფორმალური შეიარაღებული ფორმირებების მხრიდანაც კი. უკანასკნელ 10 წელიწადში 13 ქვეყნის 59 არაფორმალურმა სამხედრო დაჯგუფებამ აიღო ვალდებულება შეწყვიტოს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენება, ხოლო ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების მიერ ნაღმების გამოყენება არ დარეგისტრირებულა. სერიოზული დარღვევები დაფიქსირდა მხოლოდ ნაღმების მარაგის განადგურების პროცესში. ბელორუსია, საბერძნეთი და თურქეთი ვერ ჩაეტიენ სავალდებულო ვადებში. მათთვის აღნიშნული ვადა 2008 წლის პირველ მარტს გავიდა. 2009 წლის სექტემბრისათვის ეს სამი სახელმწიფო ჯერ კიდევ სერიოზულად არღვევს ხელშეკრულებას. 2007 წელს მხოლოდ 4-მა მონაწილე ქვეყანამ დაარღვია განადგურების ვადები. ესენი არიან: ავღანეთი, გვინეა, კაბო-ვერდე და თურქმენეთი. ცნობილია, რომ 50 სახელმწიფო აწარმოებდა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებს, მაგრამ 38-მა უკვე შეწყვიტა მათი გამოშვება, მათ რიცხვში ის ქვეყნებიცაა, რომელთაც ნაღმების აკრძალვის ხელშეკრულებაზე ხელი არ მოუწერიათ, ესენი არიან: ეგვიპტე, ისრაელი, პოლონეთი და ფინეთი.

Landmine monitor — მა განსაზღვრა ნაღმების მწარმოებელთა ჯგუფი - 13 ქვეყანა: ვიეტნამი, ინდოეთი, ირანი, ჩინეთი, კუბა, მიანმი, ნეპალი, პაკისტანი, რუსეთი, ჩრდილო კორეა, სინგაპური, აშშ და სამხრეთ კორეა.

ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფო პრაქტიკულად არ აწარმოებს ნაღმებს, მაგრამ იტოვებს ამის უფლებას. 2008 წელს სავარაუდოდ მხოლოდ 3 ქვეყანა აწარმოებდა ნაღმებს. ფაქტიურად, ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებით ვაჭრობის აკრძალვა მოქმედებს ოთხმოცდაათიანი წლებიდან. პროგრამა **Landmine monitor**—ს არასოდეს დაუფიქსირებია ერთი სახელმწიფოს მიერ მეორისათვის ნაღმების გადაცემის ფაქტი. მისივე მონაცემით უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში მსოფლიოში ნაღმებით ვაჭრობა მკვეთრად შემცირდა.

უნივერსალიზაცია

ხელშეკრულება ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის შესახებ ძალაში შევიდა 1999 წლის 1 მარტს და იქცა საერთაშორისო სავალდებულო კანონად. კანონის იურიდიულად ძალაში შესვლის შემდეგ სახელმწიფოები უნდა მიუერთდნენ კონვენციას და არა მხოლოდ ხელის მოწერით დაკმაყოფილდნენ, არამედ გაატარონ ქმედითი ღონისძიებები მის დასაცავად, მისი შემდგომი რატიფიკაციის მიზნით¹. 156 მონაწილე ქვეყნიდან 131—მა მოაწერა ხელი და რატიფიცირება გაუკეთა ნაღმების აკრძალვის ხელშეკრულებას. კიდევ 25 ქვეყანა მიუერთდა მათ². 39 ქვეყანა ჯერ კიდევ არ გამხდარა ხელშეკრულების მონაწილე, მათ

¹ იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებმაც ხელშეკრულების რატიფიკაცია მოახდინა ან ახლა მიუერთდა მას, ხელშეკრულება ძალაში შედის მეექვსე თვის პირველ დღეს. ხელისმომწერი სახელმწიფო 180 დღის განმავლობაში ვალდებულია წარუდგინოს გენერალურ მდივანს პირველადი ანგარიში გამჭირვალების შესახებ. (შემდგომში ასეთივე ანგარიში წარადგინოს ყოველწლიურად) თუ როგორ ხდება ნაღმების განადგურება ოთხი წლის განმავლობაში. აგრეთვე ჩაატაროს განალმვა თავის იურისდიქციაში მყოფ ყველა სამიშ ტერიტორიებზე 10 წლის განმავლობაში. ჩგარდა ამისა მას მოეთხოვება შეიტანოს კანონი ნაციონალურ კანონმდებლობაში სისხლის სამართლის სასჯილების გამოყენების შესახებ, მისი არ შესრულების გამო.


² 25 დეკლარაციასთან მიერთებულ ქვეყნებს შორის შედის ჩერნოგორია. 1999 წლის 1 მარტის ხელშეკრულების ძალაში შესვლის დროს (ან ამ თარიღზე უფრო ადრე) ჩერნოგორიეში შედგა 43 რატიფიკაცია 131 — დან და კიდევ 88 რატიფიკაცია შედგა მოგვიანებით.

რიცხვშია მარშალის კუნძულები და პოლონეთი, რომლებმაც, მართალია, დიდხანია მოაწერეს ხელი ხელშეკრულებას, მაგრამ მისი რატიფიცირება ჯერ კიდევ არ მოუხდენიათ. პოლონეთმა გადაწყვიტა რატიფიცირება მოეხდინა არა 2015 წელს, როგორც განცხადებული იყო 2007 წლის იანვარში, არამედ 2012 წელს. ხოლო მარშალის კუნძულები სამუშაო პროცესში ჩაერთო, მაგრამ რატიფიკაციის ვადები ჯერ დადგენილი არ აქვს. გაეროს გენერალური ასამბლეის 63/42 ერთ-ერთი შესაძლებლობაა სახელმწიფოებისათვის მხარდაჭერა ქვეითსაინააღმდეგო ნაღმების აკრძალვასთან დაკავშირებით.

გაეროს გენერალური ასამბლეის 63/42 რეზოლუცია

ერთ-ერთი შესაძლებლობა სახელმწიფოებისათვის, მხარი დაუჭირონ ქვეითსაინააღმდეგო ნაღმების აკრძალვას, არის კენჭისყრა გაეროს რეზოლუციის მისაღებად, რომელიც მოუწოდებს ქვეყნებს, რათა ხელი შეუწყონ ხელშეკრულების წესდებას ნაღმების აკრძალვისა და მისი მოთხოვნების შესრულების შესახებ. ეს რეზოლუცია მიიღეს 2008 წლის 2 დეკემბერს 163 ხმით, ერთი იყო წინააღმდეგი, ხოლო 18—მა თავი შეიკავა³. იმ 39 ქვეყნიდან, რომლებიც ხელშეკრულების მონაწილენი არ იყვნენ 18-მა ხმა მისცა რეზოლუციის სასარგებლოდ⁴, 18—მა თავი შეიკავა,

3 კენჭისყრას არ ესწრებოდა⁵. პირველი რეზოლუციის მიღების მომენტიდან 1997-1999-2007 წლამდე ქვეყნების რიცხვი, რომლებმაც მის სასარგებლოდ ხმა მისცეს, მერყეობდა 139—164—მდე. თავისთავად, რა თქმა უნდა, იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებმაც თავი შეიკავეს, იცვლებოდა 23—დან (2002 წელი) 17—მდე (2005 წელი)⁶. თავის დროზე მათ დამატათ ის ქვეყნებიც, რომლებიც არ იღებდნენ მონაწილეობას კენჭისყრაში, ახლა კი საბოლოოდ, ხმას აძლევენ რეზოლუციის სასარგებლოდ, მათ რიცხვშია; აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ჩინეთი, ლაოსის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, მარშალის კუნძულები და მაროკო.



იპროვა

ქვეყნები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, მაგრამ მისი რატიფიცირება არ მოუხდენიათ, არიან ფინეთი და პოლონეთი. ამჟამად ეს ქვეყნები ერთადერთი ქვეყნებია რეგიონში, რომლებიც ხელშეკრულების

5 კენჭისყრას არ ესწრებოდნენ საუდის არაბეთი, არავია, სომალი და ტონგა. სომალი და ტონგა წარსულში მხარს უჭერდნენ რეზოლუციას, როცა საუდის არაბეთი არასოდეს დასწრებია კენჭისყრას. ასევე არ ესწრებოდნენ რვა მონაწილე ქვეყანა: გამბია, კიბირატი, ნევისი, სეიშელის კუნძულები, სიერრა ლეონე, სენტ კიდსი, ფიჯი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა და ჩადი.

6 გაეროს N გენერალური ასამბლეის კენჭისყრის შედეგები ნაღმების აკრძალვის შესახებ 1997 წლის 52/38ა რეზოლუცია — 142 დადებითი არცერთი წინააღმდეგი 18 — მა თავი შეიკავა. 1998 წელი (რეზოლუცია 53/77N) 147 დადებითი არცერთი წინააღმდეგი 21 მა თავი შეიკავა, 1999 წელი (რეზოლუცია 54/54B) 139 დადებითი 1 წინააღმდეგი 20 — მა თავი შეიკავა. 2000 წელი (რეზოლუცია 55/33V) 143- მი დადებითი არცერთი წინააღმდეგი 22 თავი შეიკავა. 2001 წელი (რეზოლუცია 56/24M) 138 დადებითი არცერთი წინააღმდეგი 19 თავი შეიკავა. 2002 წელი (რეზოლუცია 57/74) 143 დადებითი არცერთი წინააღმდეგი 22 თავი შეიკავა. 2003 წელი (რეზოლუცია 58/53) 153 დადებითი არცერთი წინააღმდეგი 23 თავი შეიკავა. 2004 წელი (რეზოლუცია 59/84) 157 დადებითი არცერთი წინააღმდეგი 22 თავი შეიკავა. 2005 წელი (რეზოლუცია 60/80) 158 დადებითი არცერთი წინააღმდეგი 17 თავი შეიკავა. 2006 წელი (რეზოლუცია 61/83) 161 დადებითი, არცერთი წინააღმდეგი 17 თავი შეიკავა. 2007 წელი (რეზოლუცია 62/41) 164 დადებითი არცერთი წინააღმდეგი 18 თავი შეიკავა.

3 18 — მა სახელმწიფომ თავი შეიკავა გენერალური ასამბლეის 63/42 რეზოლუციის მიღებასთან დაკავშირებით. 2008 წლის დეკემბერში: ვიეტნამმა, ეგვიპტემ, ისრაელმა, ინდოეთმა, ირანმა, ყირგიზეთმა, კუბამ, ლივანმა, მიანმა, ნეპალმა, ჯაპაისტანმა, რუსეთმა, ჩრდ. კორეამ, სირიამ, აშშ-მ, უზბეკეთმა და სამხ. კორეამ, ნეპალის გამოკლებით ხმა არ მისცა ამ რეზოლუციას. N ნეპალმა პირველად თავი შეიკავა 2007 წელს. 2004 და 2006 წლებში კი ის კენჭისყრას არ ესწრებოდა.

4 რეზოლუციის მომხრე ქვეყნებთა რიცხვში შედის ორი ქვეყანა: მარშალის კუნძულები და პოლონეთი. სევე შემდეგი არახელისმომხრე 16 ქვეყანა: სასომხეთი, ზერბაიჯანი, ბაზრინი, საქართველო, ყაზახეთი, ჩინეთი, ლაოსი, მაროკო, მიკრონეზია, მონღოლეთი, ომანი, სინგაპური, ტუვარუ, ფინეთი, შრი — ლანკა.

მონაწილენი არ არიან. პირველი მიმოხილვითი კონფერენციის მომენტში 2004 წლის ნოემბერში 39 მონაწილე სახელმწიფო იყო. ყველა ამ სახელმწიფომ მოახდინა ხელშეკრულების რატიფიცირება, ხოლო რამოდენიმე სახელმწიფომ: სერბეთი, თურქეთი და ესტონეთი რომლებმაც თავი შეიკავეს ხელისმონერისაგან მიუერთდნენ 2005 წელს, ჩერნოგორია მიუერთდა 2006 წელს. 2004 წლის სექტემბერში ფინეთმა გამოაცხადა, რომ ხელშეკრულებას მიუერთდება 2012 წელს. ასევე 2012 წელს მიერთების შესახებ შესახებ განაცხადა პოლონეთმაც.

დამოუკიდებელი ქვეყნების თანამებოპრობა

რეგიონში 12-დან 5 ქვეყანა ხელშეკრულების მონაწილენი არიან. 1999 წელს მონაწილე იყო მხოლოდ ერთი სახელმწიფო — თურქმენეთი და ორიც ხელის მომწერი - მოლდოვა და უკრაინა. 2004 წლის ნოემბრისათვის, როცა ჩატარდა პირველი მიმოხილვითი კონფერენცია, მონაწილე ქვეყნების რიცხვი 4—მდე გაიზარდა, ტაჯიკეთი მიუერთდა 1999 წლის ოქტომბერში. მოლდოვეთმა ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა 2000 წლის ოქტომბერში, ბელორუსია მიუერთდა მას 2003 წლის სექტემბერში, უკრაინამ რატიფიცირება მოახდინა 2005 წლის დეკემბერში, ხოლო საქართველო და სომხეთი თანმიმდევრობით მხარს უჭერდა ყოველწლიურ რეზოლუციას და ესწრებოდა თათბირებს ნაღმების აკრძალვის შესახებ. უკანასკნელ წლებში აზერბაიჯანი უფრო აქტიურად უჭერს მხარს ხელშეკრულებას ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის შესახებ; კერძოდ, წარადგინდა მოხსენებებს 2008 წლის სტატია 7—ის შესაბამისად და 2005 წლიდან, ყოველწლიურად ხმას აძლევდა რეზოლუციის მიღებას. ყაზახეთი ხმას აძლევდა რეზოლუციის მიღებას 2007—2008 წლებში,

იმისდა მიუხედავად, რომ წინა წლებში თავს იკავებდა კენჭისყრისაგან.

ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენება

უკანასკნელი 10 წლის მიმოხილვა: სახელმწიფო შეიარაღებული ძალების მიერ ნაღმების გამოყენება

ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად, განიხილება ის, რომ საერთაშორისო გაერთიანება გმობს ნაღმების ყოველგვარ გამოყენებას. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენება სახელმწიფო ჯარების მიერ საგრძნობლად შემცირდა და იშვიათ ფენომენად იქცა. თავის პირველ მოხსენებაში 1999 წელს **Landmine monitor**—მა დააფიქსირა, ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების სავარაუდო გამოიყენება 15 სახელმწიფოს მიერ, 2000 წელს 12 სახელმწიფოს მიერ, 2001 წელს 13 სახელმწიფოს მიერ, 2002 წელს 14 სახელმწიფოს მიერ, 2003 წელს 9 სახელმწიფოს მიერ, 2004 წელს 4 სახელმწიფოს მიერ (საქართველო, მეანმი, ნეპალი და რუსეთი) და 2009 წელს 2 სახელმწიფოს მიერ (მეანმი და რუსეთი).

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში მეანმისა და რუსეთის შეიარაღებული ძალები ნაღმებს იყენებდნენ ყოველწლიურად. სავარაუდოდ, საქართველოს შეიარაღებული ძალებიც დროგამოშვებით იყენებდა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებს 2001—2004 და 2006 წელს, მაგრამ ქვეყნის მთავრობა უარყოფს ამ ფაქტს. ნეპალში სამთავრობო შეიარაღებული ძალები იყენებდნენ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებსა და თვითნაკეთ ასაფეთქებელ მოწყობილობებს მთელი 10 წლის განმავლობაში,

კონფლიქტის დამთავრებამდე (2006 წელი).

1999 წლიდან მსოფლიოში დაფიქსირდა სამი შემთხვევა, როცა სამთავრობო ძალები ინტენსიურად იყენებდნენ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებს: ინდოეთი და პაკისტანი 2001—2002 წლებში დაძაბულობის პერიოდში. რუსეთი-ჩეჩნეთში 1999—2000 წლებში და ეთიოპია—ერიტრეა სასაზღვრო კონფლიქტის დროს. ხელშეკრულებაში მონაწილე სახელმწიფოების მიერ ნაღმების გამოყენება არ დაფიქსირებულა. რუსეთის ოფიციალურმა წყაროებმა 2006 წელს დაადასტურეს, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები იყენებდნენ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებს ჩეჩნეთში, 2006 წლიდან მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, როცა მიმდინარეობდა სახელმწიფოსა და **Landmine monitor**—ს შორის მოლაპარაკებები, რუსეთის ჩინოვნიკებმა არ დაადასტურეს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენების შეწყვეტის ფაქტი. 2008 წლის საქართველო-რუსეთის კონფლიქტის დროს ადგილი ჰქონდა ურთიერთბრალდებებს, მაგრამ რამდენიმე კვლევამ არ დაადასტურა ნაღმების გამოყენება.

ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების წარმოება

ცნობილია, რომ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებს აწარმოებდა 50 ქვეყანაზე მეტი, 8 ქვეყანამ შეწყვიტა მათი გამოშვება. მათ შორის არის ის ქვეყნები, რომლებსაც ხელი არ მოუწერიათ ხელშეკრულებაზე. ეს ქვეყნებია: ეგვიპტე, ისრაელი, პოლონეთი და ფინეთი. ტაივანმა 2006 წელს მიიღო კანონი ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის შესახებ. მათ შორის ვინც შეწყვიტა ნაღმების წარმოება, იყვნენ 1970—1990 წლებში უმსხვილესი მწარმოებლებიც, ჩინეთის, რუსეთის და აშშ გამოკლებით. ზოგიერთ შემთხვევაში, სახელმ-

წიფო არ აწარმოებს ნაღმებს, მაგრამ იტოვებს ამ უფლებას. 2008 წელს, შესაძლებელია, რომ მხოლოდ 3 ქვეყანა აწარმოებდა ნაღმებს⁷.

ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებით ვაჭრობა მსოფლიოს მასშტაბით

ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვა მოქმედებს 1990 წლიდან. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებით ვაჭრობამ საგრძნობლად იკლო. ქვეყნებმა რომლებიც არ იყვნენ ამ ხელშეკრულების ხელისმომწერი მხარეები, ასევე შემოიღეს აკრძალვა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების ექსპორტზე. მათ შორის არიან: ისრაელი, ინდოეთი, ყაზახეთი, ჩინეთი, პაკისტანი, პოლონეთი, რუსეთი, სინგაპური, აშშ და სამხრეთ კორეა. აშშ—ში 2007 წლის დეკემბერში მიიღეს ყოველმხრივი მორატორიუმი ნაღმების ექსპორტზე კიდევ 6 წლის ვადით - 2014 წლამდე. 2008 წელს ისრაელმა კიდევ სამი წლით გააგრძელა მორატორიუმის მოქმედება ნაღმების ექსპორტზე. სხვა ექსპორტიორები, ისეთები, როგორებიც არიან: ვიეტნამი, კუბა და ეგვიპტე, გამოვიდნენ განცხადებით, რომ მათ ამჟამად შეწყვიტეს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების ექსპორტი, თუმცა, ფაქტები საწინააღმდეგოს ქადაგებს.

⁷ ინდოეთი და პაკისტანი აღიარებენ, რომ განაგრძობენ ნაღმების წარმოებას. ნაღმების აქტიური მწარმოებელია მიამიც. სამხრეთ კორეა იტყობინება, რომ 2006-2007 წლებში აწარმოებდა ნაღმებს, მაგრამ 2008 წელში შეწყვიტა მისი წარმოება. ვიეტნამი, ირანი, ჩინეთი, ნეპალი და აშშ აცხადებენ, რომ ამჟამად არ აწარმოებენ ნაღმებს. უუცნობია, აწარმოებენ თუ არა ამ სახის იარაღს კუბა, რუსეთი, ჩრდილო კორეა და სინგაპური.

ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების მარაგი და მათი განადგურება (სტატია №4)

მონაწილე ქვეყნები

2009 წლის აგვისტოში ხელშეკრულების მონაწილე 156 ქვეყნიდან 149—მ, განაცხადა, რომ არ ფლობს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების მარაგს. 86—მა მონაწილე ქვეყანამ დაამთავრა მარაგის განადგურება. 63—მა ქვეყანამ გააკეთა ოფიციალური განცხადება, რომ არ ფლობს ნაღმების მარაგს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ნაღმები შენახულია სწავლებისა და გამოკვლევის მიზნით.

არამონაწილე ქვეყნები

ამჟამად **Landmine monitor** — ის შეფასებით, 35 ქვეყნის არსენალებში ინახება დაახლოებით 160 მილიონი ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი. ნაღმების უმეტესი რაოდენობა ინახება სამი ქვეყნის არსენალებში: ჩინეთი (დაახლოებით 110 მილიონი) რუსეთი (24,5 მილიონი) და აშშ (10,4 მილიონი). სხვა ქვეყნების რიცხვში, რომლებიც ნაღმების სოლიდურ არსენალს ფლობენ შედის პაკისტანი (6 მილიონი) და ინდოეთი (4-5 მილიონი). ხელმომწერმა პოლონეთმა დაადასტურა, რომ 2000 წლისათვის ის ფლობდა 1 055 971 ნაღმს, ხოლო 2008 წლისათვის 333 573-მდე შეამცირა მათი რაოდენობა. 2008 წელს ჩინეთმა გააგრძელა იმ ნაღმების განადგურება, რომლებიც ან დაძველდა, ან არ შეესაბამებოდა ტექნიკურ მოთხოვნებს. პროტოკოლი 2-ის თანახმად იყო გაცხადებული, რომ ახალი ტექნოლოგიები საშუალებას მისცემს დაჩქარდეს განადგურების პროცესები. 2008 წლის ნოემბერში რუსეთმა განაცხადა, რომ „ბოლო წლებში“ განადგურა „დაახლოებით 10 მილიონი ქვეითსაწინააღმდეგო ნაღ-

მი“. 2004 წლის ნოემბერში რუსეთმა პირველად განაცხადა, რომ ფლობდა არსენალში 26,5 მილიონ ნაღმს და რომ 2000 წლიდან უკვე გაანადგურა 19,5 მილიონი.

დატოვებული ნაღმები კვლევისა და სწავლებისათვის (№3 სტატია)

ხელშეკრულების №3 სტატია, შესაძლებლობას აძლევს მონაწილე ქვეყნებს, შეინახონ ან გადასცენ „ნაღმების გარკვეული რაოდენობა, რათა შეიმუშავონ აღმოჩენის, განადგურების მეთოდები. . . ამ ნაღმების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს იმ რაოდენობას, რაც საჭიროა ამ მიზნის მისაღწევად.“ მონაწილე რამდენიმე ქვეყანამ დააკონკრეტა რომ, ამ ნაღმებს მოხსნილი უნდა ჰქონოდათ დეტონატორები. 1997 წლის მოლაპარაკებებზე ოსლოში, აგრეთვე მომდევნო წლებში დისკუსიების შედეგად, მონაწილე ქვეყნებმა მოილაპარაკეს, რომ დატოვებული ნაღმების მინიმალური რაოდენობა უნდა ითვლიდეს ასობით და ათასობით ნაღმს და არავითარ შემთხვევაში ათი ათასობით.

ნაციონალური კანონმდებლობის ზომები (სტატია №9)

ხელშეკრულების სტატია №9 ნაღმების აკრძალვის შესახებ ბრძანებს, რომ „ყოველი სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ყველა საჭირო სამართლებრივი ადმინისტრაციული და სხვა ზომები, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ჩათვლით“, რათა თავიდან აიცილოს და აღკვეთოს ხელშეკრულებით დადგენილი ნორმების დარღვევა.

„ოსლოს პროცესი“ და კონვენცია კასეტური იარაღის შესახებ⁸

2006 წლის მიმოხილვითმა კონფერენციამ კონვენციის ზოგიერთი ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ვერ გადაწყვიტა კასეტური შეიარაღების პრობლემა, ნორვეგიამ ამის შემდეგ გააკეთა განაცხადი ახალი დამოუკიდებელი პროცესის დაწყების შესახებ. სადაც განხილული იქნებოდა ხელშეკრულება კასეტური იარაღის აკრძალვის შესახებ, რომელიც დიდ ზარალს აყენებს მშვიდობიან მოსახლეობას. ქვეყანამ ჩაატარა პირველი თათბირი ე.წ. „ოსლოს პროცესი“ 2007 წლის თებერვალში, 46—მა ქვეყანამ ვალდებულება აიღო, უკვე 2008 წლის ბოლოსათვის დაესრულებინა ახალი საერთაშორისო კონვენციის შექმნა, რომელიც აკრძალავდა კასეტური იარაღის გამოყენებას. ინიციატორი ქვეყნების „ძირითად შემადგენლობაში“ შევიდნენ: ავსტრია, ვატიკანი, ირლანდია, მექსიკა, ახალი ზელანდია, ნორვეგია და პერუ. 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს შორის მიმდინარე კონფლიქტის დროს კასეტური იარაღი გამოყენებული იქნა

8 კონვენციის დეტალური კვლევის შედეგები, რომელიც 150 ქვეყანაში ჩატარდა გაშუქებულია „Human Rights Watch“ და „Landmine Action“, *Banning cluster munitions, government policy and practice*, Mines action Canada 2009 წლის მაისის გამოშვებაში.

მიიღეს მონაწილეობა „ოსლოს პროცესის“ როგორც მინიმუმ ერთ მოსამზადებელ თათბირში. ხელშეკრულების ხელშეწყობი რეგიონალური თათბირები ჩატარდა კოსტა — რიკაში 2007 წლის სექტემბერში, სერბეთში 2007 წლის ოქტომბერში, ზამბიაში 2008 წლის აპრილში და ტაილანდში 2008 წლის აპრილში. 2008 წლის 19 — 30 მაისში ოფიციალური მოლაპარაკებები მიმდინარეობდა დუბლინში. მისი დამთავრების შემდეგ ყველა 107 ქვეყანამ ხელი მოაწერა კონვენციას კასეტური იარაღის შესახებ, რომელიც ანებს კასეტური იარაღის წარმოების ხმარების, დაგროვების და გადაცემის სრულ აკრძალვას, ამ თათბირს ესწრებოდა 20 დამკვირვებელი ქვეყანა. კოალიციამ კასეტური იარაღის შესახებ მაღალი შეფასება მისცა კონვენციას, რომელიც უახლოეს ათწლეულში ათასობით ხალხს შეუნარჩუნებს სიცოცხლეს. ისევე როგორც ხელშეკრულება ნაღმების აკრძალვის შესახებ, იგი გამოიყენებს კომპლექსურ მიდგომას კასეტური იარაღის პრობლემისადმი, ხელშეკრულება მოითხოვს დანაღმული ტერიტორიების განმენდას, დაზარალებულთა დახმარებას. განსაკუთრებით ქების ღირსია დებულება დახმარების შესახებ, რომელიც უფრო მკაფიოდ არის განერილი ვიდრე ნაღმების აკრძალვის კონვენციაში. უშედეგო აღმოჩნდა მცდელობა შეეტანათ ხელშეკრულებაში განმარტებები ზოგიერთი კასეტური იარაღის შესახებ.

2008 წლის აგვისტოში შეიარაღებული კონფლიქტის დროს რუსეთმა და საქართველომ გამოიყენეს კასეტური იარაღი, რის შედეგადაც საქართველოში დაშავდა მშვიდობიანი მოსახლეობა და მიყენებული იქნა სოციალურ-ეკონომიური ზარალი.

რუსეთისა და საქართველოს მიერ, რითაც დაზიანდა მშვიდობიანი მოსახლეობა. დიდი ზარალი მიაღწია სოციალურ-ეკონომიურ მხარესაც. მთელმა მსოფლიომ პროტესტი გამოთქვა და დაგმო კასეტური იარაღის გამოყენების ფაქტები. 2009 წლის დასაწყისში ხელშეკრულებაზე ხელმომწერთა რიცხვმა 98 შეადგინა, მათ შორის 17-მა მოახდინა კონვენციის რატიფიცირება იმავე წელს. კონვენცია ძალაში შევა მას შემდეგ, რაც მის რატიფიცირებას მოახდენს 30 სახელმწიფო⁹.

კონვენცია ზოგიერთი ჩვეულებრივი შეიარაღების ზოგიერთი სახეობის შესახებ

II შესწორებული ოქმი

„ჩვეულებრივი იარაღის მეტისმეტი დაზიანების მიმყენებელ ან განურჩეველი მოქმედების სახეობათა აკრძალვის ან შეზღუდვის შესახებ“ კონვენციის II შესწორებული ოქმი კრძალავს ან ზღუდავს ნაღმების, მახენაღმებისა და სხვა ასაფეთქებელ მოწყობილობათა გამოყენებას, წარმოებასა და გადაცემას. არშემდგარმა 1996 წლის პროტოკოლმა იმპულსი მისცა ოტავას პროცესს, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ხელშეკრულება ნაღმების გამოყენების აკრძალვის შესახებ. 2009 წლის მდგომარეობით, 93 ქვეყანა არის ამ შესწორებული ოქმის მონაწილე, ორი სახელმწიფო: საქართველო (2009 წლის 8 ივნისი) და იამაიკა (2008 წლის 25 სექტემბერი) მიუერთდა **Landmine monitor**—ის 2008 წლის მოხსენების შემდეგ, მხოლოდ 11 ქვეყანა, 93 მონაწილე სახელმწიფოდან, რომლებიც არიან II შესწორებული ოქმის მონაწილეები, კიდევ არ მიერთებიან ხელშეკრულებას ნაღმების აკრძალვის შეს-

9 2010 წლის 16 თებერვალს, მოლდოვამ მოახდინა კონვენციის რატიფიცირება. ის იყო ოცდამეათე ქვეყანა !!!!

ახებ; ესენი არიან: საქართველო, ისრაელი, ინდოეთი, ჩინეთი, მაროკო, პაკისტანი, რუსეთი, აშშ, ფინეთი, შრი-ლანკა და სამხრეთ კორეა¹⁰. ამრიგად, ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების პრობლემების ქრილში, II შესწორებული ოქმი ეხება მხოლოდ 11 ჩამოთვლილ ქვეყანას, რადგან დანარჩენი მონაწილე ქვეყნები ვალდებულები არიან მიემხრონ ხელშეკრულების უფრო მაღალ სტანდარტებს. ხელშეკრულების ხელმომწერ 56 სახელმწიფოს შორის არის პოლონეთი. ის II შესწორებული ოქმის მხარდამჭერია. ქვეყანას ჯერ არ განუხორციელებია ხელშეკრულების რატიფიკაცია, მაგრამ როგორც ხელმომწერი, მას არ შეუძლია ჩაიდინოს ისეთი ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება ხელშეკრულებას. 9 წლიანი ვადა დადგენილია იმ ქვეყნებისათვის, რომლებმაც მოინდომეს გადაედოთ მოთხოვნების შესრულება ნაღმების აღმოჩენის და განადგურების კუთხით, როგორც ამას ითხოვს 2007 წლის 3 დეკემბრის ტექნიკური დებულება. ჩინეთმა, ლატვიამ, პაკისტანმა და რუსეთმა გადადეს ამ მოთხოვნილებების შესრულება ნაღმების აღმოჩენის საკითხში, ხოლო ბელორუსიამ, ჩინეთმა, პაკისტანმა, რუსეთმა და უკრაინამ გადადო ვადები ნაღმების თვითგანადგურების საკითხში¹¹.

10 პოლონეთი ხელშეკრულების ხელმომწერი მხარე არის, თუმცა მან რატიფიცირება არ გაუკეთა ხელშეკრულებას. მიუხედავად ამისა მას არ შეუძლია ჩაიდინოს ისეთი ქმედებები რომლებიც ეწინააღმდეგება ხელშეკრულების ჩანაფიქრს და მიზანს.

11 ქვეითსაწინააღმდეგო დისტანციური დანალმვის სისტემებს ფლობენ მონაწილე ქვეყნები: ბელორუსია, საბერძნეთი, ირანი, ჩინეთი, პაკისტანი, რუსეთი, აშშ, თურქეთი, უკრაინა და სამხრეთ კორეა. ნაღმების აკრძალვის კონვენცია მოითხოვდა ბელორუსიისგან, საბერძნეთსა და თურქეთისგან, რომ 2008 წლის 1 მარტისათვის გაენადგურებინათ ქვეითსაწინააღმდეგო დისტანციური დანალმვის მარაგი. კონვენციის მონაწილე ქვეყნები რომლებმაც უკვე გაანადგურეს ეს მარაგი არიან: დიდი ბრიტანეთი, იალია, ჰოლანდია, თურქმენეთი და იაპონია.

V ოქმი - ომის ფეთქავადი ნარჩენების შესახებ

V ოქმი ის სავალდებულო ინსტრუმენტია, რომელმაც უნდა გადაჭრას ის საკითხები, რომელიც დაკავშირებულია აუფეთქებელი ნივთიერებების აფეთქების საშიშროებისა და შეიარაღებული კონფლიქტების შემდგომ დარჩენილი იარაღის შესახებ. V ოქმი მიღებულია 2003 წლის ნოემბერში და იურიდიულად ძალაში შევიდა 2006 წლის 12 ნოემბერს. 2009 წლის აგვისტოსათვის 60-მა ქვეყანამ მოახდინა ამ პროტოკოლის რატიფიცირება. 2008 წელს **Landmine monitor**-ის მოხსენების შემდეგ, პროტოკოლის რატიფიცირება მოახდინა 14-მა სახელმწიფომ: ბელორუსიამ, საქართველომ, კანადამ, კოსტა-რიკამ, მალიმ, გაერთიანებულმა არაბთა ემირატებმა, პაკისტანმა, პარაგვაიმ, პერუმ, სენეგალმა, აშშ, ჩილემ, ეკვადორმა და იამაიკამ.

ნაღმსაწინააღმდეგო მოქმედებები 1999-2009 წლების მიმოხილვა

ნაღმების აკრძალვის კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, 1999 წელს გაინაღმა მინიმუმ 1100 კვ კილომეტრი და შემდგომ 2100 კვ კილომეტრი საბრძოლო მოქმედებების რაიონებში, სულ 90 ქვეყანასა და სხვა ტერიტორიებზე[□]. ამ ოპერაციის შედეგად განადგურდა 2,2 მილიონი ჩადებული ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი, 250 000 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი და 17 მილიონი ფეთქებად საშიში ნივთიერება და მოწყობილობა. ნაღმსაწინააღმდეგო პროგრამის მოქმედების ფარგლებში მხოლოდ 2008 წელს, გაინმინდა 160 კვ კილომეტრიც - განალმული ადგილების უმაღლესი მაჩვენებელია რაც კი როდესმე დაფიქსირებულა **Landmine monitor**-ის მიერ.

ნაღმსაწინააღმდეგო მოქმედებების ძირითადი ტერმინოლოგია

დანაღმული ველი მოიცავს ქვეითსაწინააღმდეგო ან ტანკსაწინააღმდეგო ნაღმებს ან ორივეს ერთად. ამ ველზევე გვხვდება აუფეთქებელი საბრძოლო მასალაც.

საბრძოლო მოქმედებების რაიონი ეს ის რაიონია, სადაც მიმდინარეობს საომარი მოქმედებები, მაგრამ ტერიტორია არ შეიცავს ნაღმებსა და ფეთქებად საშიშ ნივთიერებებს, თუმცა, გვხვდება აუფეთქებელი საბრძოლო მასალა.

სამხედრო მოქმედებების რაიონის განმეორდა შეიცავს პროფესიონალი გამნაღმველების მიერ ვიზუალურ დათვალიერებას, აგრეთვე მათ გამოკვლევას სპეციალური მონყობილობებით, დეტექტორებით და განვრთნილი ძალებით.

ველის განაღმვა გულისხმობს ველის განმენდას გარკვეულ სიღრმემდე, განაღმვას ხელის ხელსაწყოებით, სპეციალურად განვრთნილი ძალებით ან ნაღმების აღმომჩენი და გამანადგურებელი ხელსაწყოებით.

მინების გამოთავისუფლება ხდება გამოკვლევის და განაღმვის საშუალებით.

გამოკვლევა ეს ფორმალური პროცედურაა კვლევისა და განაღმვის შემდეგ

სავარაუდო საშიში ველი ეს ის ადგილია, დაუდასტურებლად, სავარაუდოდ, შეიცავს ნაღმებს ან აუფეთქებელ საბრძოლო მასალას.

2009 წლის მაისში, ტუნისმა ოფიციალურად განაცხადა კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ, რაც მოიცავდა ნაღმებისაგან განმენდავას. იგი გახდა მეთერთმეტე მონაწილე ქვეყანა, რომლებმაც მიაღწიეს ამ რეზულტატს. დანარჩენი 10 ქვეყანაა: ბულგარეთი, გვატემალა, ჰონდურასი, კოსტა—რიკა, მაკედონია, მალავი, სალ-

ვადორი, სვაზილენდი, სურინამი და საფრანგეთი¹².

და მაინც, ნაღმებთან ბრძოლაში არის პრობლემები, ზოგიერთი ქვეყნები, რომლებიც დაზარალდნენ ნაღმებისაგან, მოეთხოვებთ მთელი იმ ტერიტორიების განაღმვა, რომლებიც შედის მათ იურისდიქციაში 10 წლის განმავლობაში. მას შემდეგ, რაც ისინი გახდნენ ხელშეკრულების მონაწილეები¹³. პირველი დასაშვები ვადა გავიდა 2009 წლის 1 მარტს, მაგრამ 15 მონაწილე ქვეყანას ვადა გაუგრძელდა¹⁴. 2009 წელს 4-მა სხვა მონაწილე სახელმწიფომ ოფიციალურად მოითხოვა ვადის გაგრძელება 3-დან 10 წლამდე. 2004 წლის პირველი მიმოხილვითი კონფერენციის დროს მონაწილე ქვეყნები დაპირებებს იძლეოდა, რომ მეორე მიმოხილვითი კონფერენციის დროს „ძალიან ცოტა ქვეყანა, თუკი ასეთები იქნებოდა“ მოითხოვდა თავისი ვადის გაგრძელებას ხელშეკრულების ფარგლებში¹⁵.

12 სტატია №5—ის მოთხოვნების დაკმაყოფილება ნიშნავს იმას, რომ ქვეყანა გასუფთავდა ნაღმებისაგან, თუმცა, ამ სტატიის მოთხოვნების შესრულება არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანამ მთლიანად მოიხსნა ნაღმებისაგან გამოწვეული პრობლემები. სტატუსს მხოლოდ ის ქვეყანა იღებს, ვინც აცხადებენ, რომ მათთვის ცნობილი დანაღმული ველები განაღმულია ჰუმანიტარული სტანდარტების შესაბამისად და რომ მის იურისდიქციაში მყოფი ყველა დანაღმული ტერიტორიები გამოვლენილია. ქვეყანას მოეთხოვება დარჩენილი ნაღმები ოპერატიულად გაანადგუროს.

13 იურისდიქცია ნიშნავს სუვერენულ ტერიტორიას. მაშინ, როცა კონტროლის ქვეშ ტერიტორიების არსებობა ნიშნავს, ოკუპირებულ ტერიტორიებს ქვეყნის სუვერენული ტერიტორიების გარეთ.

14 ხელშეკრულების თანახმად ბოსნია ჰერცეგოვინა, დიდი ბრიტანეთი, ვენესუელა, დანია, ზიმბაბვე, იორდანია, იემენი, მოზამბიკი, ნიკარაგუა, პერუ, სენეგალი, ტაილანდი, ხორვატია, ჩადი და ეკვატორმა მოითხოვეს ვადების გაგრძელება ტერიტორიების ნაღმებისგან განთავისუფლების მიზნით, 1 — დან 10 წლამდე, რაც ითვლება მაქსიმალურად დასაშვებ ვადად, მონაწილე ქვეყნების მეცხრე თათბირზე ეს თხოვნა დაკმაყოფილებული იყო.

15 ნაირობის მოქმედების გეგმა. „პირველი მიმოხილვითი კონფერენციის დასკვნითი გეგმა“ (2004 წელი 29 ნოემბერი).

ნაღმებით დაზარალებული ქვეყნები და სხვა ტერიტორიები 2009 წლის აგვისტო¹⁶

აფრიკა	ჩრ. და სამხრეთ ამერიკა	წყნარი ოკეანის და აზიის რეგიონი	ევროპა	დსთ	ახლო აღმ. და ჩრ. აფრიკა
ანგოლა	არგენტინა	ავღანეთი	ალბანეთი	აზერბაიჯანი	ალჟირი
ბურუნდი	ვენესუელა	ვიეტნამი	ბოსნიაჰერც.	სომხეთი	ეგვიპტე
გვინეა - ბისაუ	კოლუმბია	ინდოეთი	დიდი ბრიტან.	საქართველო	ისრაელი
ჯიბუტი	კუბა	კამბოჯა	საბერძნეთი	ყირგიზეთი	იორდანია
კონგო	ნიკარაგუა	ჩინეთი	დანია	მოლდავეთი	ერაყი
ზამბია	პერუ	ჩრ. კორეა	კვიპროსი	რუსეთი	ირანი
ზიმბაბვე	ჩილე	სამხ. კორეა	სერბეთი	ტაჯიკეთი	იემენი
მავრიტანია	ეკვატორი	ლაოსი	თურქეთი	უზბეკეთი	ლიბანი
მალი		მიანმა	ხორვატია	*აფხაზეთი	ლივია
მოზამბიკი		ნეპალი	ჩეხეთი	*მთიანი ყარაბაღი	მაროკო
ნამიბია		პაკისტანი	*კოსოვო		ომანი
ნიგერი		ტაილანდი			სირია
კონგოს რესპ.		ფილიპინები			*დასავლეთ საჰარა
რუანდა		შრი - ლანკა			*პალესტინა
სენეგალი		*ტაივანი			
სომალი					
სუდანი					
უგანდა					
ჩადი					
ერიტრეა					
ეთიოპია					
*სომალ ლენდი					
21 ქვეყანა და 1 ტერიტორია	8 ქვეყანა	14 ქვეყანა და 1 ტერიტორია	10 ქვეყანა და 1 ტერიტორია	8 ქვეყანა და 2 ტერიტორია	12 ქვეყანა და 2 ტერიტორია

ქანაქსური იარაღით დაზარალებული ქვეყნები და სხვა ტერიტორიები 2009 წლის აგვისტო

აფრიკა	ჩრ. და სამხ. ამერიკა	წყნ. ოკეანე და აზია	ევროპა	დსთ	ახლო აღმ. და ჩრ. აფრიკა
ანგოლა	არგენტინა	ავღანეთი	ალბანეთი	აზერბაიჯანი	ერაყი
დრ კონგო		ვიეტნამი	ბოსნია ჰერცეგოვინა	საქართველო	ქუვეითი
ზამბია		კამბოჯა	დიდი ბრიტანეთი	რუსეთი	ლიბანი
მავრიტანია		ლაოსი	სერბეთი	ტაჯიკეთი	სირია
რესპ. კონგო			ხორვატია	*მთიანი ყარაბაღი	*დასავლეთ საჰარა
სუდანი			ჩეხეთი		
უგანდა			*კოსოვო		
ჩადი					
8 ქვეყანა	1 ქვეყანა	4 ქვეყანა	6 ქვეყანა და 1 ტერიტორია	4 ქვეყანა და 1 ტერიტორია	4 ქვეყანა და 1 ტერიტორია

16 ამ ცხრილში შევიდა სახელმწიფოები და სხვა ტერიტორიების დადასტურებული დანალმული ტერიტორიები, არ შევიდა მცირე პრობლემების მქონე ქვეყნები, მაგალითად: ბელორუსია, გონდურასი, კუვეითი, პოლონეთი, უკრაინა და ტუნისი. სტატია №5 — ის შესაბამისათ 2009 წლის აგვისტოში პრობლემების ზუსტი მასშტაბი უცნობია: მალიში, მოლდოვეთში, ნამიბიაში, ნიგერიაში, ომანში, კონგოში და ფილიპინებში. დაბინძურების ხარისხი უცნობია ასევე ფონკლენდის კუნძულებზე, რომელიც დანალმულია 2 ქვეყნის მიერ, ესენი არიან: არგენტინა და დიდი ბრიტანეთი. მათ დაამთავრეს ტერიტორიების განალმვა მაგრამ ამის ოფიციალური დადასტურება არ მომხდარა, ასე რომ ეს ქვეყნებიც რჩებიან შავ სიაში.

ნაღმსანიანაღმდებო მოქმედების მომავალი

შემდგომი რამდენიმე წელიწადი იქნება განაღმვის განხრით უმაღლესი მიღწევების პერიოდი. მრავალ ქვეყანაში ნაღმსაშიშროება შემცირდა, ხოლო განაღმვის უახლესმა მეთოდებმა უფრო მეტად გაზარდა განაღმვის და ლიკვიდაციის ეფექტურობა და პროდუქტულობა. პირველ ადგილზე დადგა დაზარალებული ქვეყნების განაღმვის საკითხი, ამიტომ კიდევ მრავალი წელი იქნება საჭირო ნაციონალური და საერთაშორისო დაფინანსება. კასეტური იარაღის აკრძალვის შესახებ კონვენციის ფარგლებში, აუფეთქებელი საბრძოლო მასალებისაგან და კასეტური იარაღის ელემენტებისაგან ტერიტორიების გლობალური დაბინძურების პირობებში, კიდევ მრავალი წლის სამუშაოა ჩასატარებელი.

ქვეითსანიანაღმდებო ნაღმებით, ფეთქებად საშიში მოწყობილობებითა და ნივთიერებებით გამოწვეული უხადური შემთხვევები და მათ შესახებ მონაცემების შეგროვება

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში **Landmine monitor**-მა გამოავლინა დაახლოებით 73 567 უბედური შემთხვევა 119 ქვეყანაში. მართალია, დაზარალებულთა საერთო რაოდენობა მსოფლიოში უცნობია, მაგრამ კომპეტენტური შეფასებით მათი რაოდენობა აღწევს 100 000. რა თქმა უნდა, დაზარალების მიზეზი გახდა ნაღმები და ომის შემდგომ დარჩენილი ფეთქებადსაშიში საბრძოლო მასალა, ან მსხვერპლის მიერ გააქტიურებული თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა. უნდა ითქვას, რომ 2008 წლის მონაცემი (5197) და-

ლიან ბევრად არ ჩამორჩება 2007 წელს მომხდარ 5 473 შემთხვევას. წინა წლებთან შედარებით, დაზარალებულთა რიცხვის კლების მოცემული სიდიდე ნაკლებია გასული ათწლეულის განმავლობაში მომხდარ შემთხვევებთან შედარებით. ისევე როგორც ადრე, სტატისტიკური მაჩვენებლები არასრულია, არაადეკვატური მონაცემების ან ინფორმაციის შეკრების არასრულყოფილი მექანიზმის გამო.

დაზარალებულ სახელმწიფოთა რაოდენობა რეგიონებში 1999 — 2008 წლებში.

რეგიონი	სახელმწიფოთა რაოდენობა	დაზარალებულ სახელმწიფოთა რიცხვი
წყნარი ოკეანე და აზია	40	21
აფრიკა	48	32
ახლო აღმოსავლეთი და ჩრდ. აფრიკა	18	17
ამერიკა	35	14
დსთ - რეგიონი	12	12
ევროპა	42	23
სულ	195	119

სიცოცხლის უნარიანობის რისკების სასწავლო პროგრამა

სიცოცხლის უნარიანობის რისკების სასწავლო პროგრამა საშიშ გარემოში, რომელიც გამოწვეულია ქვეითსანიანაღმდებო ნაღმებით და ფეთქებადსაშიში ომის გადმონაშთებით, 1999 წლის ხელშეკრულების დადების შემდეგ, საკმაოდ ევოლუცია განიცადა, და მრავალი პროგრამა სიტყვიერიდან შეთანხმებიდან მოქმედების და რისკის შემცირების აქტიური ფაზაში გადავიდა. მთლიანობაში შეინიშნება მნიშვნელოვანი, მაგრამ არა საყოველთაო ცვლილებები - 1999 წლის „ნაღმების გაც-

ნობიერების შესახებ” პროგრამებიდან 2008 წლის „სიცოცხლისუნარიანობის რისკების სასწავლო პროგრამისკენ”¹⁷. პროგრამის ამოცანაა შეისწავლოს სიცოცხლისუნარიანობის რისკები — შეამციროს უბედური შემთხვევები, რომლებიც გამოწვეულია ნაღმებისა და თვითნაკეთი მოწყობილობების აფეთქების და ომის ფეთქებადსაშიში გადმონაშთების შედეგად¹⁸. ამ პროგრამის კარგი ორგანიზების დროს სიცოცხლისუნარიანობის რისკების შესწავლა შეიცავს სხვადასხვა მოქმედებების შეთავსებას: საშიშროების ცოდნა მოსახლეობასთან ურთიერთობის საშუალებით, რისკის შემცირების გზების დასახვა, ქცევის შეცვლის პროპაგანდა და იმ ორგანიზაციების ინფორმაციის მიწოდება, რომლებიც დაკავებულნი არიან განმედიტი სამუშაოებით (რიგ შემთხვევებში გადასახადები განაღმვისთვის), რისკის შემცირებაზე მიმართული ჩარევის მასშტაბების განსაზღვრა, დაზარალებულების დახმარება მონაცემების შეგროვების გზით, აგრეთვე დახმარების შესახებ ინფორმაციის მიწოდება გადარჩენილი დაზარალებული ხალხისთვის.

დაზარალებულთა დახმარება

ხელშეკრულების დადების შემდეგ ათწლეულში დაზარალებულთა დახმარების პროგრამა ყველაზე ნაკლებად პროგრესირებდა. ეს შეეხება როგორც ფინანსირებას, ასევე დაზარალებულთა დახმარებას, ის ფარავდა მხოლოდ მცირე ნაწილს იმისა, რაც საჭირო იყო. ხელშეკრულების მესამე პუნქტის VI სტატიის

17 ტერმინი შესწავლა, ეს არის, უბრალოდ ცნობიერებიდან გადასვლა საშიშროებისაკენ — დაზარალებულ ადგილებში მცხოვრებმა ხალხმა უკვე იცის ამ პრობლემების შესახებ. — ხალხის ჩართვა დიალოგში პრობლემების გადაწყვეტის მიზნით.

18 მითითება ფეთქებაში მოწყობილობებზე ასევე ნაღმებზე აღიარებს იმ ფაქტს, რომ აუფეთქებელი ნივთიერებები ან დატოვებული საომარი მასალები ხშირად უფრო მეტი ზიანის მომტანია, ვიდრე თვით ნაღმები

თანახმად, „ყოველმა სახელმწიფომ, რომლებსაც შესაბამისი პოტენციალი აქვს, ნაღმებით დაზარალებულებს უნდა გაუწიოს დახმარება მკურნალობაში, ფიზიკურ და აგრეთვე სოციალურ—ეკონომიურ რეაბილიტაციაში“. რასაკვირველია, დაზარალებულთა დახმარების კოორდინაცია გაუმჯობესდა. შესაძლებელი გახდა დაზარალებულთა მოთხოვნების უკეთესად გაგება, მაგრამ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვან წინსვლას ადგილი არ ჰქონია. მართალია, დროთა განმავლობაში, ბევრმა დაზარალებულმა მიიღო დახმარება ამა თუ იმ სახით, მაგრამ დახმარების გასაწევად კიდევ ბევრი დაბრკოლებაა გადასალახავი. დაზარალებულებს დახმარება ეძლევათ არა იმდენად სისტემატიურად და რეგულარულად, რომ მათი ცხოვრების დონე გარკვეულ დროში გაუმჯობესდეს, არამედ, ძალისხმევის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ მიმართულია სამედიცინო დახმარებისაკენ და ფიზიკური რეაბილიტაციისაკენ. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მეტი ხელშეწყობა და დაფინანსება მიმართულია ამ მიმართულებით, და არა იქით, რომ დაზარალებულთა და მათ ოჯახების ეკონომიკურ თვითუზრუნველყოფა მოხდეს. პირველ მიმოხილვით კონვენციის ფერენციაზე კონვენციის მოქმედებების განხილვისას, მონაწილე-ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ 23—მა მონაწილე-ქვეყანამ სადაც თავმოყრილია დაზარალებულების დიდი რაოდენობა, დიდი ძალისხმევა უნდა გასწიოს მათი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. აქედან გამომდინარე, 2005—2009 წლებში 21 ქვეყნის მიღწევები ამ მიმართულებით უკვე მკვეთრად განსხვავდებოდა წინა წლების მიღწევებისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ქვეყანა უფრო აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამ სამუშაოში, ზოგიერთი კი - თითქმის არა. ყველაზე მეტი წარმატება შეინიშნებოდა არა დახმარების დანერგვაში, არამედ კოორ-

დინაციის სფეროში. ის ქვეყნებიც კი, ვისი მიღწევებიც მნიშვნელოვანი იყო, უფრო მონაცემების შეგროვებით იყო დაკავებული, ვიდრე დაზარალებულთა დახმარების საკითხებით, ბევრ დროს ანდომებდა სტრატეგიის შემუშავებას, ინფორმაციის შეგროვებასა და საერთო კოორდინაციის საკითხების მოგვარებას, მაგრამ ეს მაინც მიღწევად ითვლება და დაკავშირებულია იმ გეგმებთან, რომლებიც 26—მა მონაწილე-ქვეყანამ საკუთარ თავს დაუწესა.

ნაღმსანიანაღმდებო მოღვაწეობის ფინანსური ხელშეწყობა

Landmine monitor-ის მონაცემებით 2008 წელს მთელ მსოფლიოში გამოყოფილი იყო 626,5 მილიონი აშშ დოლარი, როგორც საერთაშორისო, ასევე ნაციონალური ნაღმსანიანაღმდებო მოქმედებების ჩატარების ფინანსირებისათვის. საერთაშორისო დაფინანსება საკმაოდ გაიზარდა ხოლო ნაციონალურმა რამდენადმე იკლო 2007 წლის მონაცემებთან შედარებით. საერთაშორისო ხელშეწყობამ 1992—2008 წლებში სულ შეადგინა 4,27 მილიარდი დოლარი. **Landmine monitor**—მა განსაზღვრა, რომ 2008 წელს 517 მილიონი დოლარი (351,7 მილიონი ევრო) საერთაშორისო დაფინანსებიდან მიიღო ევროპული კომისიის 23—მა ქვეყანამ. ეს 87,9 მილიონით მეტია, ვიდრე 2007 წელს და ბევრად გადააჭარბა 2006 წლის მაქსიმალურ რეზულტატს (475 მილიონი დოლარი). ნაციონალურ ვალუტაზე გადაანგარიშებით 16—მა დონორმა გაზარდა დაფინანსება, ხოლო 6—მა შეამცირა (ჩეხეთის რესპუბლიკამ 2008 წელს მიაწოდა ინფორმაცია ევროთი დაფინანსებაზე, ხოლო 2007 წელს ჩეხურ კრონებში). 2008 წლის დაფინანსება განაწილებული იყო დაახლოებით 53 სახელმწი-

ფოზე. ხუთი უმსხვილესი დახმარების მიმღები 2008 წელს იყვნენ: ავღანეთი, სუდანი, ერაყი, ლიბანი და კამბოჯა. **Landmine monitor** — ის ინფორმაციით ნაციონალური დაფინანსებით 2008 წელს 22 ქვეყანაში შევიდა 108,7 მილიონი დოლარი, ეს თანხა 7%-ით ნაკლებია 2007 წელს გამოყოფილ თანხასთან შედარებით. ხელშეკრულების VI სტატია აღიარებს, ყოველი სახელმწიფო უფლებამოსილია შეასრულოს კონვენციის ვალდებულებები: მოითხოვოს და მიიღოს ხელშეწყობა სხვა მონაწილე-ქვეყნებიდან. წლიდან წლამდე **Landmine monitor**—ი იძლევა ცნობებს ნაღმსანიანაღმდებო მოღვაწეობის ფინანსური და არაფინანსური დახმარების შესახებ. ამის შესახებ მას ინფორმაციას მიაწოდებენ ნაღმებისაგან დაზარალებული ქვეყნები. ეს ქვეყნები ინფორმაციას იძლევიან აგრეთვე ნაღმსანიანაღმდებო მოქმედებებში საერთაშორისო ხელშეწყობაზე, რომლის შესახებ აცნობებენ მას სახელმწიფო — დონორები. **Landmine monitor**—ი აგრეთვე აწვდის ცნობებს დონორ ქვეყნებს ხარჯთაღრიცხვის შედგენის სტრატეგიაზე რესურსების მობილიზაციის შესახებ, რათა შესრულებული იყოს კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებები დაზარალებული ქვეყნების წინაშე, აგრეთვე დონორი სახელმწიფოების პრიორიტეტებზე და დახმარების სტრატეგიაზე. უმეტეს შემთხვევაში **Landmine monitor**—ი თავის შეფასებებში ეყრდნობა იმ საკითხებს, რომლებსაც იძლევიან ნაღმებისგან დაზარალებული ქვეყნები, ან იყენებს გამოქვეყნებულ ანგარიშებს რომლებიც შედგენილია დონორი სახელმწიფოების მიერ. იმ დროს როცა **Landmine monitor**—ი ცდილობს, წარმოადგინოს სრული ანგარიში გლობალურ ფინანსურ დახმარებასთან დაკავშირებით, მსოფლიო მასშტაბით მის სისრულეს ზღუდავს შესაძლებლობა და სურვილი ქვეყნებისა თვალი მიაღწეონ და მოახსენოს თავიანთი ფინანსების

შესახებ. სრული ანგარიშის წარდგენას ხელს უშლის აგრეთვე ანგარიშსწორების, ბიუჯეტის სტრატეგიული გეგმების და სხვა ფინანსური ანგარიშების გაცნობის შეზღუდვა, თუმცა რამდენიმე ქვეყანამ წარადგინა ცნობები ნაციონალური ფინანსირების შესახებ მიმდინარე ორი წლის განმავლობაში, ანგარიში და მისი წლიური ნაციონალური დონის ფინანსირება მაინც არაზუსტია. დაზარალებული სახელმწიფოების მიერ კონტროლის და ანგარიშის შედგენის სტანდარტული მეთოდების არქონა, ზოგიერთ შემთხვევაში კი ინფორმაციის უკმარისობა ფაქტიური დანახარჯების შესახებ შეუძლებელს ხდის განვლილი წლების მონაცემების შედარებას.

**ნაღმსანიანაღმდებო მოქმედების
ფინანსირება წლების მიხედვით**

პერიოდი	თანხა / მლნ. აშშ დოლარი
2008	518
2007	431
2006	475
2005	375
2004	392
2003	339
2002	324
2001	237
2000	243
1999	219
1998	187
1992—1997	529
სულ 1992—2008წ.	4 268

კონვენცია
ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენების, დაგროვების, წარმოების და გადაცემის
აკრძალვისა
და მათი განადგურების შესახებ

პრეამბულა

მონაწილე მხარეები,

მონადინებული არიან რა, ბოლო მოუღონ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების მიერ გამოწვეულ უბედურ შემთხვევებს და განსაცდელს, რის შედეგადაც ყოველი კვირის განმავლობაში იღუპება და სახიზრდება ასობით უდანაშაულო და დაუცველი ადამიანი და უპირველესად კი ბავშვები; რომელთა გამოც ფერხდება ეკონომიკური განვითარება და აღდგენა, რთულდება ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულთა რეპატრაცია წარმოიქმნება სხვა მძიმე შედეგები მათი განლაგებიდან მრავალი წლის შემდეგაც კი; მიიჩნევენ რა აუცილებლად ერთობლივ ეფექტურ და კოორდინირებულ მოქმედებას მსოფლიოში არსებული ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების განადგურების რთული ამოცანის წარმატებული გადაჭრისათვის მონდომებულნი არიან, რომ მაქსიმალურად შეუნყონ ხელი ნაღმზე დაზარალებუთა მოვლასა და რეაბილიტაციას სოციალური და ეკონომიკური რეინტეგრაციის ჩათვლით. თვლიან, რომ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების სრული აკრძალვა შეიძლება იქცეს ურთიერთდობის განმტკიცების მნიშვნელოვანი ფაქტორი; მიესალმებიან 1996 წლის 3 მაისის შესწორებული პროტოკოლის მიღებას ნაღმების, ნაღმი-ხაფანგების და სხვა მოწყობილობების გამოყენების შეზღუდვის ან აკრძალვის შესახებ, რომელიც წარმოადგენს დანართს კონვენციისა ჩვეულებრივი იარაღის იმ კონკრე-

ტული სახეობების გამოყენების შეზღუდვის ან აკრძალვის შესახებ, რომელითაც შეუძლიათ განსაკუთრებით მძიმე დაზიანების მიყენება ან გააჩნიათ არაშერჩევითი მოქმედების ეფექტი; მოუნოდებენ ყველა სახელმწიფოს, რომელსაც ჯერ ეს არ გაუკეთებია, უმოკლეს ვადაში მოახდინოს აღნიშნული პროტოკოლის რატიფიკაცია; ამასთან, მხარს უჭერენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1996 წლის 10 დეკემბრის რეზოლუცია 51/45 შ, რომელიც შეიცავს მონოდებას ყველა სახელმწიფოსადმი აქტიურად იღვანონ ეფექტური იურიდიული ძალის მქონე საერთაშორისო შეთანხმების მიღებისათვის ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების წარმოების, დაგროვების, გამოყენების და გადაცემის აკრძალვის შესახებ; ხაზგასმით აღნიშნავენ რა საზოგადოებრივი აზრის დიდ მნიშვნელობას ჰუმანიზმის პრინციპების დამკვიდრებაში, რომლის მაჩვენებელსაც წარმოადგენს მონოდება ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების სრული აკრძალვის შესახებ და აღნიშნავენ რა ძალისხმევას, რომელსაც ახორციელებენ წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო მოძრაობა, ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანია და მრავალი სხვა არასამთავრობო ორგანიზაცია; იმონებენ რა 1995 წ. 5 ოქტომბრის ოტავის დეკლარაციას და 1997 წ. 27 ივნისის ბრიუსელის დეკლარაციას, რომლებიც შეიცავენ მონოდებას საერთაშორისო საზოგადოებრიობისადმი, გააფორმონ საერთაშორისო იურიდიული ძალის მქონე სავალ-

დებულო შეთანხმება ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენების, დაგროვების, წარმოებისა და გადაცემის შესახებ, გამოკვეთს რა ყველა სახელმწიფოს მიერ მოცემული კონვენციის მიღების უზრუნველყოფის სურვილს, მონადინებულია ყოველმხრივ და აქტიურად შეუწყოს ხელი მისთვის უნივერსალური ხასიათის მიცემას ყველა შესაბამისი ფორმით, კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, განიარაღების შესახებ კონვენციის, რეგიონალური ორგანიზაციებისა თუ კონვენციისა ჩვეულებრივი შეიარაღების იმ კონკრეტული სახეობების გამოყენების შეზღუდვის ან აკრძალვის შესახებ, რომელთაც შეუძლიათ განსაკუთრებით მძიმე დაზიანების მიყენება ან გააჩნიათ არაშერჩევითი (განურჩეველი) მოქმედების ეფექტი, - მოქმედების განხილვის კონფერენციის ჩათვლით; აღიარებენ რა საერთაშორისო სამართლის ჰუმანისტურ პრინციპს, რომლის თანახმადაც შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე მხარის უფლება შეარჩიოს ბრძოლის წარმოების მეთოდი და საშუალება სულაც არაა შეუზღუდავი; პრინციპს, რომელიც კრძალავს შეიარაღებული კონფლიქტის დროს იმგვარი იარაღის, ჭურვების, ბრძოლის წარმოების საშუალებების და მეთოდების გამოყენებას, რომლებსაც შეუძლიათ განსაკუთრებით მძიმე დაზიანების ან განსაცდელის (ტკივილის) გამოწვევა, აგრეთვე, პრინციპს, რომლის თანახმადაც აუცილებელია არსებითად ერთმანეთისაგან განირჩეოდნენ სამოქალაქო პირები და მეომრები (კომბატანტები)

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

ზოგადი ვალდებულებები

1. ყოველი მონაწილე მხარე ვალდებულია იღებს არასდროს და არანაირ ვითარებაში

ა) არ გამოიყენოს ქვეითსაწინააღმდეგო

ნაღმები

ბ) არ შეიმუშავოს, არ აწარმოოს, არ შეიძინოს რაიმე სხვა გზით, არ დააგროვოს, არ შეინახოს

და არ გადასცეს არავის პირდაპირ ან სხვისი მეშვეობით ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები

გ) არავითარ შემთხვევაში არავის შეუწყოს ხელი, არ დაეხმაროს ან წაახალისოს მოცემული

კონვენციის თანახმად მონაწილე სახელმწიფოებისათვის აკრძალული ქმედებებისაკენ

2. ყოველი მონაწილე-სახელმწიფო ვალდებულია იღებს წინამდებარე კონვენციის დებულებების შესაბამისად განადგუროს ყველა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი ან უზრუნველყოს მათი განადგურება.

მუხლი 2

განსაზღვრებანი

1. „ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი“ ისეთ ნაღმს აღნიშნავს, რომელიც ფეთქდება ადამიანის მიახლოების ან უშუალოდ შეხების შედეგად და ამასთან, აზიანებს, ასახიჩრებს ან კლავს ერთ ან რამდენიმე ადამიანს. ნაღმები, რომელნიც ადამიანის მიახლოებას ან შეხებაზე კი არა, ნებისმიერ მოძრავ საშუალებაზე დეტონაციისთვისაა გამიზნული, აღჭურვილია გაუვნებლობის საწინააღმდეგო (დამცავი) ელემენტით, არ განეკუთვნებიან ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმის კატეგორიას მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ისინი ამგვარადაა აღჭურვილი.

2. „ნაღმი“ აღნიშნავს საბრძოლო საშუალებას, რომელიც მიწაზე, მინისქვეშ, ზედაპირზე ან მის სიახლოვესაა განთავსებული და ფეთქდება ადამიანის ან ნებისმიერი მოძრავი საშუალების მასთან მიახლოების ან უშუალო შეხების შედეგად.

3. „გაუვნებლობის საწინააღმდეგო (დამცავი) ელემენტი“ აღნიშნავს მონყობილობას, რომელიც წარმოადგენს ნაღმის დამცავს, მიერთებული, მიმაგრებული ან მის ქვეშაა განთავსებული და მოქმედებაში მოდის ნაღმთან შეხების ან მიზნობრივი გადაადგილების შედეგად.

4. „გადაცემა“ აღნიშნავს არა მხოლოდ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების ფიზიკურ გადაადგილებას

ეროვნულ ტერიტორიაზე ან ტერიტორიიდან, არამედ საკუთრების და ნაღმებზე კონტროლის უფლების გადაცემას, თუმცა არ გულისხმობს ტერიტორიის გადაცემას, რომელზეც ეს ნაღმებია განთავსებული.

5. „დანაღმული რაიონი“ აღნიშნავს მონაკვეთს, რომელიც სახიფათოა მასზე ნაღმების განლაგების ან სავარაუდო განლაგების გამო.

მუხლი 3.

გამონაკლისი

1. მიუხედავად პირველ მუხლში ასახული ზოგადი ვალდებულებების არსებობისა, ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გარკვეული რაოდენობის შენახვა ან გადაცემა ნებადართულია ნაღმების აღმოჩენის, განაღმვის ან განაღგურების მეთოდების შემუშავებისა და ამ მეთოდების შესწავლის მიზნით. ამგვარი ნაღმების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ზემოთაღნიშნული მიზნის მისაღწევად აბსოლუტურად აუცილებელი ნაღმების მინიმალურ რაოდენობას.

2. ნებადართულია ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გადაცემა მათი განაღგურების მიზნით.

მუხლი 4

ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების მარაგის განაღგურება

1. მესამე მუხლში ჩამოყალიბებული გამ-

ონაკლისის გათვალისწინებით ყოველი მონაწილე-სახელმწიფო ვალდებულებას იღებს, გაანადგუროს ან უზრუნველყოს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების მთელი მარაგის განაღგურება, რომლებიც მის ხელთ არსებულია ან მისი კუთვნილია, მის იურისდიქციასა თუ კონტროლს დაქვემდებარებულია, შესაძლო უმოკლეს ვადებში, მაგრამ არაუგვიანეს ოთხი წლისა წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლიდან ამ მონაწილე სახელმწიფოსათვის.

მუხლი 5

ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების განაღგურება დანაღმულ რაიონებში

1. ყოველივე მონაწილე-სახელმწიფო ვალდებულებას იღებს, გაანადგუროს ან უზრუნველყოს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების განაღგურება დანაღმულ რაიონებში, რომლებიც იმყოფებიან მის იურისდიქციის ან კონტროლის ქვეშ, შესაძლო უმოკლეს ვადებში, მაგრამ არაუგვიანეს 10 წლის შემდეგ ამ კონვენციის ძალაში შესვლიდან მონაწილე-სახელმწიფოსათვის.

2. ყოველი მონაწილე-სახელმწიფო ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ გამოავლინოს მისი იურისდიქციის თუ კონტროლის ქვეშ მყოფი რაიონები, სადაც, როგორც ცნობილია, განთავსებულია ან შეიძლება იყოს განთავსებული ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები და ყველა ღონეს იხმარს, რომ უმოკლეს ვადებში პერიმეტრზე აღინიშნოს დანაღმულ რაიონებში განთავსებული ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების ადგილმდებარეობა, დაანესოს ზედამხედველობა და მოახდინოს მისი იზოლაცია შემოღობვის ან სხვა საშუალებების მეშვეობით, რათა სრულად უზრუნველყოს მოცემულ ტერიტორიაზე სამოქალაქო პირთა შეღწევადობის გამორიცხვა, ვიდრე მთლიანად არ განაღგურდება იქ განთავსებული ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები. აღნიშვნა უნდა შეესაბ-

ამებოდეს სტანდარტებს, 1996 წლის 3 მაისს შესწორებულ ოქმში ნაღმების, ნაღმები-ხაფანგების ან სხვა მოწყობილობების აკრძალვაზე ან შეზღუდულ გამოყენებაზე, რომელიც თან ერთვის კონვენციას კონკრეტული სახის იარაღის აკრძალვის ან გამოყენების შეძლების შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ განსაკუთრებული ზიანის მიყენება ან ატარებენ არაარჩევით ხასიათს.

3. თუ რომელიმე მონაწილე სახელმწიფო მიიჩნევს, რომ მოცემულ ვადებში არ ძალუძს პირველ პუნქტში მითითებული ყველა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმის განადგურება ან განადგურების უზრუნველყოფა, მას შეუძლია მონაწილე სახელმწიფოების თათბირს ან კონფერენციას კონვენციის მოქმედების განხილვის შესახებ მიმართოს თხოვნით, გაზარდოს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების სრული განადგურებისთვის დადგენილი დროის ხანგრძლივობა ათ წლამდე.

4. ყოველ თხოვნაში საჭიროა

ა) ნაჩვენები იყოს სავარაუდო გაგრძელების ვადა.

ბ) დანვრილებით უჩვენონ სავარაუდო გახანგრძლივების საფუძვლები

1) ინფორმაცია სამუშაოების მომზადებისა და ჩატარების შესახებ განაღმვის ეროვნული პროგრამების შესაბამისად

2) ინფორმაცია ფინანსურ და ტექნიკურ საშუალებებზე, რომლის გამოყოფაც შეუძლია მონაწილე სახელმწიფოს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების სრული განადგურების მიზნით

3) იმ გარემოებების განმარტება, რომლებიც ხელს უშლიან მონაწილე-სახელმწიფოს სრულად გაანადგუროს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები დანაღმულ რაიონებში.

გ) აღწეროს ვადის გაგრძელების ჰუმანიტარული, სოციალური, ეკონომიკური შედეგები

დ) სრულად წარმოადგინონ სხვა ინფორმაცია, რომელიც შეეხება თხოვნას ვადის სა-

ვარაუდო

გაგრძელების შესახებ

5. კონვენციის მოქმედებასთან დაკავშირებული მონაწილე-სახელმწიფოების თათბირი ან კონფერენცია მხედველობაში მიიღებს მე-4 პუნქტში მოცემულ ფაქტორებს, გაანალიზებს თხოვნას და მონაწილეთა და ხმის მიმცემთა ხმების უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას, დააკმაყოფილოს თუ არა თხოვნა ვადის გაგრძელების შესახებ.

6. ვადის გაგრძელება შესაძლებელია კიდევ ერთხელ, განმეორებითი თხოვნის შეტანის შემთხვევაში მოცემული მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად. ვადის გაგრძელების შესახებ განმეორებითი თხოვნის შეტანისას მონაწილე-სახელმწიფომ უნდა წარმოადგინოს დამატებითი ინფორმაცია იმის შესახებ, რა გაკეთდა მოცემული მუხლის შესაბამისად სანქცირებული წინა გადავადების პერიოდში

მუხლი 6

საერთაშორისო თანამშრომლობა და თანადგომა

1. წინამდებარე კონვენციის ვალდებულებების შესრულებისას ყოველ მონაწილე-სახელმწიფოს უფლება აქვს მოითხოვოს და მიიღოს დახმარება იქ, სადაც ეს შესაძლებელია, სხვა მონაწილე სახელმწიფოებისაგან იმ მოცულობით, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

2. ყოველი მონაწილე-სახელმწიფო ვალდებულია იღებს, რაც შეიძლება ფართოდ შეუწყოს ხელი წინამდებარე კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებული აღჭურვილობის, მასალების, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის გაცვლას და უფლება აქვს, მიიღოს მონაწილეობა ამგვარ გაცვლაში. მონაწილე-სახელმწიფოს არა აქვს უფლება, დაანესოს დაუსაბუთებელი (უსაფუძვლო) შეზღუდვები განაღმვის საშუალებებისა და შესაბამისი ტე-

ქნიკური ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით ჰუმანიტარული მიზნებისათვის.

3. ყოველი მონაწილე-სახელმწიფო, რომელსაც გააჩნია შესაბამისი საშუალებები, მონაწილეობას იღებს ნაღმებზე დაზარალებულ პირთა მოვლის, რეაბილიტაციის, სოციალური და ეკონომიური რეინტეგრაციის ღონისძიებებსა და ნაღმსაშიშროების შესახებ ინფორმირების პროგრამის განხორციელებაში. ამგვარი თანამშრომლობა შეიძლება განხორციელდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციების და დაწესებულებების, საერთაშორისო წითელი ჯვრის, წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთვარის ეროვნული საზოგადოებების და მათი საერთაშორისო ფედერაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების ან ორმხრივი შეთანხმებების მეშვეობით.

4. ყოველი მონაწილე-სახელმწიფო, თუ მას შესაბამისი საშუალებანი გააჩნია, დახმარებას უწევს

განალმვასა და ამასთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებებში. ამგვარი თანამშრომლობა ხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემის, საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების დადაწესებულებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მეშვეობით, ან ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, აგრეთვე თანხების გადარიცხვის გზით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განალმვის ხელშეწყობის მიზნობრივ ფონდში ან განალმვის ღონისძიებების გამახორციელებელ რეგიონალურ ფონდში ნებაყოფლობითი შენატანების სახით.

5. ყოველი მონაწილე-სახელმწიფო, რომელსაც გააჩნია შესაბამისი საშუალებები, აქტიურად მონაწილეობს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების მარაგის განადგურების ღონისძიებებში.

6. ყოველი მონაწილე-სახელმწიფო იღებს

ვალდებულებას მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემაში შექმნილ განალმვის ღონისძიებათა მონაცემების ბაზაში შესატანად, განსაკუთრებით კი ინფორმაცია განალმვის სხვადასხვა საშუალებებისა და მეთოდების შესახებ, აგრეთვე, ამ სფეროში მომუშავე ექსპერტების, დაწესებულებების ან განალმვის საკითხებზე მომუშავე ეროვნული საკოორდინაციო ცენტრების სიები.

7. მონაწილე-სახელმწიფოებს შეუძლიათ თხოვნით მიმართონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რეგიონალურ ორგანიზაციებს, სხვა მონაწილე სახელმწიფოებს, სხვა კომპეტენტურ სამთავრობათაშორისო ან არასამთავრობო სტრუქტურებს, დაეხმარონ მათ ხელმძღვანელ ორგანოებს განალმვის ეროვნული პროგრამის შემუშავებისას კონკრეტული საკითხების გადასაწყვეტად, კერძოდ:

ა) ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების პრობლემატიკის სრული მოცულობით და მასშტაბით განხილვა.

ბ) ამ პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ფინანსური, ტექნიკური და ადამიანური რესურსები.

გ) შესაბამისი მონაწილე-სახელმწიფოს იურისდიქციასა და კონტროლქვეშ მყოფ განალმულ რაიონში განთავსებული ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების სრული განადგურებისთვის საჭირო ვადების განსაზღვრა.

დ) ნაღმსაშიშროების შესახებ ინფორმირების ღონისძიებები, რომელთა მიზანია შეამციროს ნაღმების აფეთქების შედეგად ადამიანთა დაღუპვის ან დასახიჩრების შემთხვევები.

ე) ნაღმებზე დაზარალებულებისთვის დახმარების აღმოჩენა.

ვ) ურთიერთობანი დაინტერესებულ მონაწილე-სახელმწიფოს ხელისუფლებასა და

შესაბამის სამთავრობო, სამთავრობათაშორისო და არასამთავრობო სტრუქტურებს შორის რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ამ პროგრამის განხორციელებაში.

8. წინამდებარე მუხლის დებულებების შესაბამისად დახმარების აღმომჩენი ან მიმღები ყოველი მონაწილე-სახელმწიფო მონაწილეობს დახმარების შესახებ შეთანხმებული პროგრამების სრულ და თანადროულ განხორციელებაში.

მუხლი 7

გამჭვირვალობის ზომები

1. ყოველი მონაწილე-სახელმწიფო რაც შეიძლება ადრე, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში არაუგვიანეს მონაწილე-სახელმწიფოსთვის მოცემული კონვენციის ძალაში შესვლიდან 180 დღის შემდეგ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს აწვდის ინფორმაციას:

ა) მე-9 მუხლში აღნიშნული ეროვნული ზომების განხორციელების შესახებ

ბ) სრულ მონაცემს მისი კუთვნილი, მფლობელობაში, იურისდიქციისა თუ კონტროლქვეშ მყოფი ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების მარაგის შესახებ მათი ტიპების, რაოდენობისა და, თუ შესაძლოა,

საწყობებში განთავსებული ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების ყოველი ტიპის პარტიების ნომრების ჩვენებით

გ) რამდენადაც ეს შესაძლებელია, ყველა დანალმული რაიონის კოორდინატების მონაცემები, სადაც განთავსებულია ან შესაძლოა განთავსებული იყოს მათ იურისდიქციასა და კონტროლქვეშ

მყოფი ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები, დანალმულ რაიონში განთავსებული ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმის ყოველი სახეობის, ტიპის, რაოდენობის და მათი განთავსების თარიღის რაც შეიძლება ზუსტი ჩვენებით

დ) დაცული ან ნაღმების აღმოჩენის, განაღმვის ან განადგურების მეთოდების შემუშავების და ამ მეთოდების შესწავლის ან განადგურების მიზნით გადაცემული ყველა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმის ტიპების, რაოდენობისა და, თუ შესაძლებელია, პარტიების ნომრების ჩვენებით, აგრეთვე იმ

დანესებულებების ჩვენებით, რომლებსაც მონაწილე-სახელმწიფომ უფლება მისცა შეენახა ან გადაეცა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები მე-3 მუხლის შესაბამისად.

ე) ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების წარმოების ობიექტების კონვერსიასა ან ექსპლუატაციის შეწყვეტასთან დაკავშირებული პროგრამების მდგომარეობის შესახებ.

ვ) მე-4 და მე-5 მუხლის შესაბამისად ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების განადგურებასთან დაკავშირებული პროგრამების მდგომარეობის შესახებ იმ მეთოდების შესახებ ზუსტი მონაცემების

ჩათვლით, რომლებიც გამოყენებულ იქნება განადგურებისას, აგრეთვე, იმ ობიექტების ადგილმდებარეობა, სადაც განხორციელდება განადგურება და გამოყენებული უსაფრთხოებისა და

ეკოლოგიური ნორმების შესახებ, რომელთა დაცვაც სავალდებულოა.

ბ) ყველა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმის ტიპები და რაოდენობა, რომლებიც ამ მონაწილე სახელმწიფოსთვის წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის შემდგომ იქნა განადგურებული, მე-

4 და მე-5 მუხლის შესაბამისად განადგურებული ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმის ყოველ სახეობასთან დაკავშირებული რაოდენობრივი მონაცემების ჩათვლით, აგრეთვე, თუ ეს შესაძლებელია, ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმის ყოველ სახეობაზე პარტიის ნომრის მინიშნებით - მათი მე-4 მუხლის შესაბამისად განადგურების შემთხვევაში.

თ) წარმოებული ქვეითსანინაალმდეგო ნალმის ყოველი სახეობის ტექნიკური დახასიათება იმ ოდენობით რამდენადაც ეს ცნობილია, და მონაცემები იმ ნაღმების შესახებ, რომლებიც მოცემულ მომენტში ეკუთვნის მონაწილე სახელმწიფოს ან მის მფლობელობაშია იმ ინფორმაციის მინიშნებით, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეითსანინაალმდეგო ნაღმების აღმოჩენას და გაუვნებლობას. ეს ინფორმაცია, სულ მცირე, უნდა შეიცავდეს მონაცემებს ზომების, ამფეთქებლის, ლითონის შემადგენლობის შესახებ, აგრეთვე ჭფერად ფოტოებს და სხვა მონაცემებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ ნაღმების გაუვნებლობას.

1) მოსახლეობის სწრაფი და ეფექტური გაფრთხილების საშუალებები ყველა იმ რაიონში, რომელიც მინიშნებულია მე-5 მუხლის მე-2 პარაგრაფში.

2. მონაწილე სახელმწიფოების მიერ წინამდებარე მუხლის შესაბამისად მიწოდებული ინფორმაცია ყოველწლიურად უნდა განახლდეს. იგი უნდა მოიცავდეს გასულ კალენდარულ წელს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს მიეწოდოს არაუგვიანეს ყოველი წლის 30 აპრილისა.

3. გაეროს გენერალური მდივანი ყველა ამგვარ მოხსენებას გადასცემს მონაწილე სახელმწიფოებს.

მუხლი 8

შესრულების ხელშეწყობა და შესრულებასთან დაკავშირებული განმარტებანი

1. მონაწილე სახელმწიფოები თანხმდებიან ერთმანეთთან თანამშრომლობისა და კონსულტაციების შესახებ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლების წინამდებარე კონვენციის დებულებების განხორციელებას შეეხება და ერთობლივი ძალისხმევით, თანამშრომლობის სულისკვეთებით იღწვიან ხელი შეუწყონ მონაწილე სახელმწიფოების მიერ საკუთარი

ვალდებულებების შესრულების წინამდებარე კონვენციის მიხედვით.

2. თუ ერთ ან რამდენიმე მონაწილე სახელმწიფოს სურს შეიტყოს ან გადაწყვიტოს საკითხი, რომელიც სხვა მონაწილე სახელმწიფოს მიერ წინამდებარე კონვენციის დებულებების შესრულებას შეეხება, მათ შეუძლიათ გაეროს გენერალური მდივანის მეშვეობით ამ მონაწილე სახელმწიფოს გაუგზავნონ შეკითხვა მათთვის საინტერესო საკითხთან განმარტებების თაობაზე. ამგვარ შეკითხვასთან ერთვის საქმესთან დაკავშირებული სრული ინფორმაცია. ყოველი მონაწილე სახელმწიფო ზრუნავს იმაზე, რომ არ დაუშვას უფლებათა ბოროტად გამოყენება და თავს იკავებს დაუსაბუთებელი შეკითხვებისაგან. მონაწილე სახელმწიფო, რომელმაც მიიღო შეკითხვა განმარტებების მოთხოვნით, შეკითხვის გამგზავნ მონაწილე სახელმწიფოს გაეროს გენერალური მდივანის მეშვეობით წარუდგენს 28 დღის მანძილზე სრულ ინფორმაციას, რომელიც

ხელს შეუწყობს პრობლემის განმარტებას.

3. თუ შეკითხვის გამგზავნი მონაწილე სახელმწიფო დადგენილ ვადაში არ მიიღებს გაეროს გენერალური მდივანის მეშვეობით განსახილველად გაიტანოს მონაწილე სახელმწიფოების მორიგ თათბირზე. გაეროს გენერალური მდივანი ამ წარდგინებას თანდართული ყველა საჭირო ინფორმაციით დაუგზავნის ყველა მონაწილე სახელმწიფოს. ამ სახის სრული ინფორმაცია უნდა გადაეცეს შეკითხვის ადრესატ მონაწილე სახელმწიფოს, რომელსაც გააჩნია პასუხის უფლება.

4. მონაწილე სახელმწიფოების ნებისმიერი თათბირის მოწვევამდე ყოველ დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია თხოვნით მიმართოს გაეროს გენერალურ მდივანს თანადგომა გაუწიოს და დაეხმაროს სასურველი განმარტებების მისაღებად.

5. შეკითხვის ავტორ მონაწილე-სახელმწიფოს შეუძლია გაეროს გენერალური მდივნის მეშვეობით დააყენოს წინადადება მონაწილე სახელმწიფოების საგანგებო თათბირის მოწვევის შესახებ აღნიშნული პრობლემის განსახილველად. ამის შემდგომ, გაეროს გენერალური მდივანი ამ წინადადებას და დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოების მიერ წარმოდგენილ სრულ ინფორმაციას უგზავნის ყველა მონაწილე სახელმწიფოს თხოვნით შეატყობინონ უჭერენ თუ არა მხარს საგანგებო თათბირის მოწვევას აღნიშნული საკითხის განსახილველად. თუ მასალების გაგზავნიდან 14 დღის მანძილზე მონაწილე სახელმწიფოების სულ მცირე ერთი მესამედი განაცხადებს თანხმობას საგანგებო თათბირის ჩატარების თაობაზე, გაეროს გენერალური მდივანი

ინვესს საგანგებო თათბირს მომდევნო 14 დღის განმავლობაში. ამ თათბირის ქვორუმს შეადგენს მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა.

6. მონაწილე სახელმწიფოთა თათბირი, ან გარემოებიდან გამომდინარე, საგანგებო თათბირი, უპირველესად განსაზღვრავს საჭიროა თუ არა პრობლემის შემდგომი განხილვა იმ ინფორმაციის მხედველობაში მიღებით, რომელიც დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოების მიერ იყო წარმოდგენილი. მონაწილე სახელმწიფოების თათბირი ან საგანგებო თათბირი ყველა ღონეს ხმარობს, რათა გადწყვეტილება მიღებულ იქნეს კონსენსუსის გზით. თუ ყველა მცდელობის მიუხედავად შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა, გადწყვეტილების მიღება ხდება დამსწრე და კენჭისყრის მონაწილე მონაწილე სახელმწიფოების ხმის უმრავლესობით.

7. ყველა მონაწილე სახელმწიფო სრულად უნდა თანამშრომლობდეს მონაწილე სახელმწიფოთა თათბირსა თუ საგანგებო თათბირთან აღნიშნული პრობლემის განხილვის პროცეს-

ში, მე-8 პარაგრაფის შესაბამისად არსებული ფაქტების დადგენისათვის განეული მისიის მუშაობის ჩათვლით.

8. თუ საჭიროა დამატებითი განმარტებები, მონაწილე სახელმწიფოთა თათბირი თუ საგანგებო თათბირი ფაქტების დასადგენად აყალიბებს სპეციალურ მისიას და ამტკიცებს მის მანდატს დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე მონაწილე სახელმწიფოების ხმების უმრავლესობით. შეკითხვის ადრესატ მონაწილე სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისიის გაგზავნა მის ტერიტორიაზე ფაქტების დასადგენად. ამგვარი მისია იგზავნება მონაწილე სახელმწიფოთა თათბირის თუ საგანგებო თათბირის გადწყვეტილების გარეშე. მისიის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს ცხრა ექსპერტამდე, რომელთა დანიშვნა და დამტკიცება ხდება მე-9 და მე-10 პუნქტების შესაბამისად. მისიას შეუძლია შესაბამის ან სხვა ადგილებში შეკრიბოს დამატებითი ინფორმაცია სავარაუდო პრობლემასთან დაკავშირებით და იმყოფება შეკითხვის ადრესატი მონაწილე სახელმწიფოს იურისდიქციასა თუ კონტროლის ქვეშ.

9. გაეროს გენერალური მდივანი ამზადებს და განაახლებს მონაწილე-სახელმწიფოთა მიერ გამოყოფილი კვალიფიცირებული ექსპერტების სიას მათი გვარ-სახელის, ეროვნების და სხვა შესაბამისი მონაცემების ჩვენებით, ხოლო შემდეგ დაუგზავნის მას ყველა მონაწილე სახელმწიფოს. ამ სიაში ჩართული ნებისმიერი ექსპერტი განიხილება როგორც ფაქტების დამდგენი მისიის მონაწილე, თუ ესა თუ ის მონაწილე სახელმწიფო წერილობითი ფორმით არ გამოხატავს თავის უთანხმოებას. ამ შემთხვევაში ეს ექსპერტი არ მონაწილეობს ფაქტების დამდგენი მისიის მუშაობაში არც მონაწილე მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე და არც ნებისმიერ სხვა ადგილას, რომელიც ამ სახელმწიფოს

იურისდიქციისა და კონტროლს ქვეშ იმყოფება, თუკი თავისი წინააღმდეგობის შესახებ მონაწილე სახელმწიფომ განაცხადა ამგვარი მისიის შემადგენლობაში ექსპერტის დანიშვნამდე.

10. მონაწილე სახელმწიფოების თათბირის თუ საგანგებო თათბირისაგან მოთხოვნის მიღების შემდეგ გაეროს გენერალური მდივანი კონსულტაციებს ატარებს შეკითხვის ადრესატ მონაწილე სახელმწიფოსთან და ნიშნავს მისიის ხელმძღვანელსა და მის წევრებს. მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქენი, რომლის თხოვნითაც იქმნება ფაქტების დამდგენი მისია, ან იმ მონაწილე სახელმწიფოთა მოქალაქენი, რომელთაც უშუალოდ შეეხება მისიის მოღვაწეობა არ შეიძლება შეყვანილ იქნენ მისიის შემადგენლობაში. მისიის წევრები სარგებლობენ პრივილეგიებითა და იმუნიტეტით, რომელიც გათვალისწინებულია პრივილეგიებისა და იმუნიტეტის შესახებ გაერთიანებული ერების კონვენციის მე-6 მუხლით, რომელიც მიღებულია 1946 წ. 13 თებერვალს.

11. ფაქტების დამდგენი მისიის წევრები შეკითხვის ადრესატ მონაწილე-სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩადიან უმოკლეს შესაძლებელ ვადაში, რის შესახებაც ატყობინებენ ამ მონაწილე სახელმწიფოს სულ მცირე 72 საათით ადრე. თავის მხრივ აღნიშნული მონაწილე-სახელმწიფო იღებს მისიის წევრებზე მიღების, განთავსების და ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის საჭირო ადმინისტრაციულ ზომებს და პასუხისმგებელია, მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში, მისიის წევრების უსაფრთხოებაზე აღნიშნულ ტერიტორიაზე მათი ყოფნის განმავლობაში.

12. შეკითხვის ადრესატი მონაწილე-სახელმწიფოს სუვერენიტეტის შელახვის გარეშე ფაქტების დამდგენ მისიას შეუძლია აღნიშნული სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიტანოს მისთვის აუცილებელი მოწყობილობა-აღჭურ-

ვილობა, რომლის გამოყენებაც მოხდება მხოლოდ და მხოლოდ სავარაუდო პრობლემასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიების მიზნით. მისია აღნიშნულ სახელმწიფოს წინასწარ, ჩასვლამდე აცნობებს რა სახის აღჭურვილობა იქნება გამოყენებული ფაქტების დადგენისათვის განეული მუშაობის პროცესში.

13. შეკითხვის ადრესატი მონაწილე-სახელმწიფო ყველა ღონეს ხმარობს რათა უზრუნველყოს მისიის წევრების შეხვედრა და საუბარი საქმესთან დაკავშირებულ ყველა იმ პირთან, რომელთაც

შეუძლიათ სავარაუდო პრობლემასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება.

14. შეკითხვის ადრესატი მონაწილე სახელმწიფო უზრუნველყოფს ფაქტების დამდგენი მისიის წევრების შეუფერხებელ გადაადგილებას მის კონტროლ ქვეშ მყოფ ყველა რაიონსა და ობიექტზე სადაც სავარაუდოდ შესაძლებელია პრობლემასთან დაკავშირებული ფაქტების მოძიება. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა ზომები, რომელთა გატარებაც აღნიშნულ სახელმწიფოს აუცილებლად მიაჩნია შემდეგი მიზეზების გამო:

ა) საიდუმლო აღჭურვილობას, გასაიდუმლოებული ინფორმაციის და სარეჟიმო რაიონების დაცვა

ბ) იმ კონსტიტუციური ვალდებულებების დაცვის უზრუნველყოფა, რომლებიც შეიძლება გააჩნდეს შეკითხვის ადრესატ მონაწილე-სახელმწიფოს საკუთრების უფლების, ჩხრეკის, კონფისკაციის და სხვა საკონსტიტუციო უფლებების მიმართებით; ან და

გ) ფაქტების დამდგენი მისიის წევრების ფიზიკური დაცვის და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.

აღნიშნული მონაწილე სახელმწიფოს მიერ ამგვარი ზომების მიღების შემთხვევაში იგი ყოველგვარ გონივრულ საშუალებებს მიმართავს საიმისოდ, რომ ალტერნატიული საშუ-

აღებებით მოახდინოს მის მიერ წინამდებარე კონვენციის დაცვის დემონსტრირება.

15. ფაქტების დამდგენ მისიას შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე დარჩენა შეუძლია არაუმეტეს 14 დღისა, ხოლო ნებისმიერ კონკრეტულ ადგილზე - არაუმეტეს 7 დღისა, თუ არ იქნება წინასწარ მიღწეული შეთანხმება სხვა ვადებთან დაკავშირებით.

16. ინფორმაცია, რომელიც კერძო ურთიერთობითაა მოძიებული და არაა დაკავშირებული ფაქტების დამდგენი მისიის მიერ შესასწავლ საკითხთან, უნდა ჩაითვალოს კონფიდენციალურად.

17. ფაქტების დამდგენი მისია მოხსენებას თავისი საქმიანობის შედეგების შესახებ წარუდგენს მონაწილე სახელმწიფოების თათბირს ან საგანგებო თათბირს გაეროს გენერალური მდივნის მეშვეობით.

18. მონაწილე სახელმწიფოთა თათბირი ან საგანგებო თათბირი განიხილავს შესაბამის ინფორმაციას ფაქტების დამდგენი მისიის მოხსენების ჩათვლით და შეუძლია წინადადებით მიმართოს შეკითხვის ადრესატ მონაწილე სახელმწიფოს წინასწარშეთანხმებულ ვადებში მიიღოს

ზომები შესწავლილი პრობლემის აღმოსაფხვრელად. თავის მხრივ, აღნიშნული მონაწილე სახელმწიფო წარადგენს ანგარიშს ამ წინადადების საპასუხოდ გატარებული ღონისძიებების (მიღებული ზომების) შესახებ.

19. მონაწილე სახელმწიფოების თათბირს თუ საგანგებო თათბირს შეუძლია წინადადებით მიმართოს დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოებს იმ გზებისა და საშუალებების მინიშნებით, რომელიც საშუალებას იძლევა უფრო სრულად განმარტოს ან გადაჭრას განსახილველი პრობლემა საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურების

ჩათვლით. თუ დადგინდება, რომ განსახ-

ილველი პრობლემა წარმოიქმნა შეკითხვის ადრესატ მონაწილე სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მონაწილე სახელმწიფოების თათბირს თუ საგანგებო თათბირს შეუძლია წამოაყენოს რეკომენდაციები შესაბამისი ზომების მიღების შესახებ მე-6 მუხლში აღნიშნული კოლექტიური ზომების ჩათვლით.

20. მონაწილე სახელმწიფოების თათბირი თუ საგანგებო თათბირი ყველა ღონეს იხმარს, რომ მე-

18 და მე-19 პუნქტებში აღნიშნული ყველა გადანყვეტილების მიღება მოხდეს კონსესუსის გზით ან თათბირის დამსწრე და კენჭისყრის მონაწილე სახელმწიფოების ორი მესამედი ხმების მეშვეობით.

მუხლი 9

განხორციელების ეროვნული საშუალებები
ყოველი მონაწილე სახელმწიფო იღებს შესაბამის სამართლებრივ, ადმინისტრაციულ თუ სხვა ზომებს, სისხლის სამართლის სანქციების ჩათვლით, რათა თავიდან აიცილოს და აღკვეთოს მისი

იურისდიქციისა და კონტროლქვეშ მყოფ ტერიტორიაზე ნებისმიერი საქმიანობის განხორციელება,

რომელიც აკრძალულია მონაწილე სახელმწიფოსათვის წინამდებარე კონვენციით.

მუხლი 10

სადაო საკითხების დარეგულირება

1. მონაწილე სახელმწიფოები კონსულტაციების და ურთიერთ თანამშრომლობის მეშვეობით ცდილობენ მოაგვარონ ნებისმიერი სადავო საკითხი, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას წინამდებარე კონვენციის გამოყენების თუ განმარტების პროცესში. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია მსგავსი სადავო საკითხის თაობაზე შეატყობინოს

მონაწილე სახელმწიფოთა თათბირს.

2. მონაწილე სახელმწიფოთა თათბირს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სადავო საკითხის დარეგულირებაში ნებისმიერი გზით, რომელსაც მისაღებად ჩათვლის - შესთავაზოს საკუთარი დახმარება, მოუწოდოს დავაში მონაწილე მხარეებს საკუთარი შეხედულებებისამებრ დაინყონ დარეგულარების პროცედურა და შესთავაზოს ზღვრული ვადა ნებისმიერი შემთავსებლული პროცედურის განხორციელებისთვის.

3. წინამდებარე მუხლი არ ხელყოფს მოცემული კონვენციის დებულებებს დაცვის და დაცვაზე განმარტებების ხელშეწყობის ჩრჩილში.

მუხლი 11

მონაწილე სახელმწიფოების თათბირი

1. მონაწილე სახელმწიფოები რეგულარულად იკრიბებიან იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც დაკავშირებულია წინამდებარე კონვენციის გამოყენება-განხორციელებასთან. კერძოდ:

ა) წინამდებარე კონვენციის მდგომარეობასა და მოქმედებასთან დაკავშირებული საკითხები

ბ) წინამდებარე კონვენციის დებულებების შესაბამისად წარმოდგენილი გაპირობებული მოხსენებების საკითხები

გ) საერთაშორისო თანამშრომლობისა და მხარდაჭერის საკითხები მე-6 მუხლის შესაბამისად

დ) ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გაუვნებლობის მეთოდების სრულყოფის საკითხები

ე) მონაწილე სახელმწიფოს წარდგინებებთან დაკავშირებული საკითხები (მე-8 მუხლის თანახმად)

ვ) მონაწილე სახელმწიფოს წარდგინებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების საკითხები (გათვალისწინებული მე-5 მუხლით)

2. მონაწილე სახელმწიფოების პირველ თათბირს ინვევს გაეროს გენერალური მდივანი წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში. შემდგომ თათბირებს გაეროს გენერალური მდივანი მოიწვევს ყოველწლიურად კონვენციის მოქმედების განხილვის თაობაზე პირველი კონფერენციის ჩატარებამდე.

3. მე-8 მუხლში აღნიშნული წინაპირობების წარმოქმნისას გაეროს გენერალური მდივანი ინვევს

მონაწილე სახელმწიფოების საგანგებო თათბირს.

4. პროცედურის შეთანხმებული წესების შესაბამისად დამკვირვებელთა სტატუსით ამგვართათბირებზე შეიძლება მოწვეულ იქნან სახელმწიფოები, რომლებიც არ წარმოადგენენ წინამდებარე კონვენციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაწილე სახელმწიფოს, სხვა შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციები და დაწესებულებები, რეგიონალური ორგანიზაციები, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი და შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციები.

მუხლი 12

მოქმედების განხილვის კონფერენციები

1. კონვენციის მოქმედების განხილვის შესახებ კონფერენციას ინვევს გაეროს გენერალური მდივანი წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში. შემდეგი კონფერენციების მოწვევა ხდება გაეროს გენერალური მდივნის მიერ ერთი ან რამდენიმე მონაწილე სახელმწიფოს თხოვნით იმის გათვალისწინებით, რომ კონვენციის მოქმედების საკითხის განმხილველ კონფერენციებს შორის გავა არანაკლებ 5 წლისა. ყველა მონაწილე სახელმწიფო მიწვეულ იქნება კონვენციის მოქმედების განხილვის კონფერენციაზე.

2. მოქმედების განხილვის კონფერენციის

მონვევა ხდება შემდეგი მიზნით:

ა) ჩატარდეს წინამდებარე კონვენციის მდგომარეობისა და მოქმედების მიმოხილვა

ბ) განხილულ იქნას მონაწილე სახელმწიფოების შემდგომი თათბირების ჩატარების საჭიროება და დადგინდეს ვადები მათ შორის, რაზედაც მინიშნება ხდება მე-11 მუხლის მე-2 პუნქტში.

გ) გადაწყვეტილების მიღება მონაწილე სახელმწიფოების მე-5 მუხლით გათვალისწინებულ წარდგინებებთან დაკავშირებით

დ) საჭიროების შემთხვევაში, თავის შემაჯამებელ მოხსენებაში დაამტკიცოს წინამდებარე კონვენციის შესრულებასთან დაკავშირებული დასკვნები.

3. მოქმედების განმხილველ ყოველ კონფერენციაზე დამკვირვებლების სტატუსით პროცედურის შეთანხმებული წესების შესაბამისად შეიძლება მონაწილე იქნან სახელმწიფოები, რომლებიც არ წარმოადგენენ წინამდებარე კონვენციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაწილე სახელმწიფოს, აგრეთვე სხვა შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციები და დაწესებულებები, რეგიონალური ორგანიზაციები, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი და შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციები.

მუხლი 13

შესწორებები

1. წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის შემდგომ ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია შეიტანოს წინადადებები წინამდებარე კონვენციაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით. ყოველი ამგვარი წინადადება გაეგზავნება დეპოზიტორს, რომელიც უგზავნის მას ყველა მონაწილე სახელმწიფოს და კითხულობს მათ აზრს საჭიროა თუ არა წარმოადგენილი შესწორების განსახილველად კონფერენციის მონვევა. თუ კი, არა

უმეტეს 30-დღიანი ვადისა მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა მხარს უჭერს წინადადების განხილვას, დეპოზიტორი მონაწილეს ცვლილების განსახილველ კონფერენციას, რომელზედაც მინვეული იქნებიან ყველა მონაწილე სახელმწიფოები.

2. შესწორების განმხილველ ყოველ კონფერენციაზე დამკვირვებლის სტატუსით პროცედურის შეთანხმებული წესების შესაბამისად შეიძლება მონაწილე იქნან სახელმწიფოები, რომლებიც არ წარმოადგენენ წინამდებარე კონვენციის თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაწილე სახელმწიფოს, აგრეთვე სხვა შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციები და დაწესებულებები, რეგიონალური ორგანიზაციები, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი და შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციები.

3. შესწორების განმხილველი კონფერენცია ტარდება მონაწილე სახელმწიფოთა თათბირის ან კონფერენციის ჩატარების შემდეგ, რომელიც განიხილავდა მოქმედებას, თუ მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობა არ მიმართავს თხოვნით მისი უფრო ადრე ჩატარების შესახებ.

4. წინამდებარე კონვენციის ნებისმიერი შესწორების მიღება ხდება ორი მესამედის ხმების უმრავლესობით. ამ წესით მიღებული შესწორების შესახებ დეპოზიტორი აცნობებს ყველა მონაწილე სახელმწიფოს.

5. წინამდებარე კონვენციის შესწორება ძალაში შედის ყველა მონაწილე სახელმწიფოსათვის მას

შემდეგ, რაც დეპოზიტორს ჩაბარდება დოკუმენტები ხმების უმრავლესობით მისი მიღების თაობაზე. შემდგომში, ნებისმიერი სხვა დანარჩენი მონაწილე სახელმწიფოსთვის იგი ძალაში შევა დეპოზიტორისთვის მათ მიერ მიღების დოკუმენტის ჩაბარების შემდეგ.

მუხლი 14

ხარჯები

1. მონაწილე სახელმწიფოთა თათბირების, საგანგებო თათბირების კონვენციის მოქმედების თუ მასში ცვლილებების (შესწორებების) კონფერენციების ჩატარების ხარჯები დაიფარება მონაწილე სახელმწიფოთა ან მათში მონაწილე იმ სახელმწიფოთა მიერ, რომლებიც არ არიან მონაწილენი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სანევრო ანარიცხების შკალის შესაბამისად სათანადო კორექტივების გათვალისწინებით.

2. გაეროს გენერალური მდივნის მიერ განეული ხარჯები მე-7 და მე-8 მუხლის შესაბამისად და ფაქტების დამდგენი ნებისმიერი მისიის მიერ განეული ხარჯები დაიფარება მონაწილე სახელმწიფოთა მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სანევრო ანარიცხების შკალის შესაბამისად სათანადო კორექტივების გათვალისწინებით.

მუხლი 15.

ხელმოწერა

წინამდებარე კონვენცია, მიღებული 1997 წ. 18 სექტემბერს ნორვეგიის ქალაქ ოსლოში ღია ხელმოსაწერად ნებისმიერი სახელმწიფოსათვის კანადის ქ. ოტავაში 1997 წ. 3 და 4 დეკემბერს და ნიუ-იორკის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დანესებულებებში 1997 წ. 5 დეკემბრიდან მის ძალაში შესვლამდე.

მუხლი 16

რატიფიკაცია, მიღება, დამტკიცება ან მიერთება

1. წინამდებარე კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას მის ხელმომწერთა მხრიდან.

2. იგი ღიაა მიერთებისათვის ნებისმიერი იმ სახელმწიფოსათვის, რომელსაც ხელი არ

მოუწერია

კონვენციაზე.

3. დოკუმენტაცია რატიფიკაციის, მიღების დამტკიცების თუ მიერთების შესახებ ბარდება შესაბამისად დეპოზიტარს.

მუხლი 17

ძალაში შესვლა

1. წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის მეექვსე თვის პირველი დღიდან იმ თვიდან მოყოლებული, რომლის განმავლობაში დეპოზიტარს ჩაბარდა მეორმოცე დოკუმენტი რატიფიცირების, მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ.

2. ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელიც დეპოზიტორს შესაბამისად აბარებს თავის დოკუმენტს რატიფიცირების, მიღების, დამტკიცების თუ მიერთების შესახებ მეორმოცე დოკუმენტის ჩაბარების შემდეგ წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის ჩაბარების თარიღიდან მეექვსე თვის პირველი დღიდან.

მუხლი 18

დროებითი გამოყენება

რატიფიცირების, მიღების, დამტკიცების ან მიერთების მომენტში ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს, რომ კონვენციის ძალაში შესვლამდე იგი გამოიყენებს მათ დროებითი გამოყენების საფუძველზე წინამდებარე კონვენციის დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 19

გადასხვაფერება

1. წინამდებარე კონვენციის მუხლების გადასხვაფერება დაუშვებელია.

მუხლი 20

მოქმედების ვადა და გამოსვლა

1.წინამდებარე კონვენცია უვადოა.

2.ყოველ მონაწილე სახელმწიფოს თავისი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის განხორციელების წესით უფლება აქვს გამოვიდეს წინამდებარე კონვენციიდან. იგი თავისი გადანყვეტილების შესახებ აცნობებს ყველა სხვა მონაწილე სახელმწიფოს, დეპოზიტარს და გაეროს უშიშროების საბჭოს. ამგვარ შეტყობინებაში სრულად უნდა აისახოს გამოსვლის მიზეზების მოტივაცია.

3.კონვენციიდან გამოსვლა ძალაში შედის დეპოზიტარის მიერ გამოსვლის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 6 თვის მანძილზე. ამავე დროს, თუ ექვსთვიანი ვადის გასვლის მომენტისათვის გამოსვლის მსურველი მონაწილე სახელმწიფო ჩათრეულია შეიარაღებულ კონფლიქტში, გამოსვლა ძალაში შედის მხოლოდ შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდეგ.

4.კონვენციიდან მონაწილე სახელმწიფოს გამოსვლა არავითარ შემთხვევაში არ მიაჩნება, რომ სახელმწიფოს მიერ სხვა ნებისმიერი საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისი ვალდებულებების შესრულების უგულვებელყოფას.

მუხლი 21

დეპოზიტარი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი მოცემული მუხლის თანახმად ინიშნება წინამდებარე კონვენციის დეპოზიტარად.

მუხლი 22

აუტენტური ტექსტები

წინამდებარე კონვენციის დედნის ინგლისური, არაბული, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგულენოვანი ტექსტები ითვლებიან თანაბარაუტენტურად და შესანახად ბარდება გაეროს გენერალურ მდივანს.

კონვენცია კასეტური საბრძოლო მასალების შესახებ

კითხვები და პასუხები

კასეტური საბრძოლო მასალები და მისი ნარჩენები განსაკუთრებული მახასიათებლების მატარებელია, რაც მშვიდობიანი მოსახლეობისთვის სასიკვდილო საფრთხეს წარმოადგენს. ისინი დიდი რაოდენობით სუბსაბრძოლო მასალებს გამოყოფენ, რაც საკმაოდ დიდ ფართობზე ვრცელდება. ამ სუბსაბრძოლო მასალების ნაწილი მაშინვე არ ფეთქდება, მრავალი წლის მანძილზე რჩება მიწაში და ტერიტორიის დაბინძურებას განაპირობებს.

ეს იარაღი ყველაზე ხშირად ჰაერითა და საარტილერიო ქვემეხებით ვრცელდება, დიდი რაოდენობით სუბსაბრძოლო მასალებს გამოყოფს, რასაც მშვიდობიან მოსახლეობაში დიდი მსხვერპლი მოსდევს, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი დასახლებულ პუნქტებში გამოიყენება. აუფეთქებელი საბრძოლო მასალების შემდგომში აფეთქების შედეგად მსოფლიოში მრავალი ათასი მშვიდობიანი მოქალაქე ტრაგიკულად დაიღუპა და დაიჭრა, მათ შორის ქალები და ბავშვები. ბრკოლდება ეკონომიკური და სოციალური განვითარება, მათ შორის ნადგურდება საარსებო საშუალებები, ფერხდება პოსტკონფლიქტური რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია, ყოვნადა ან შეუძლებელი ხდება ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება. მას შეუძლია უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს სამშვიდობო და ჰუმანიტარული დახმარებისათვის გამიზნული ეროვნული და საერთაშორისო ძალისხმევაზე და გამოიწვიოს სხვა მძიმე შედეგები, რომლებიც შეიძლება შენარჩუნდეს კასეტური იარაღის გამოყენების შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში.

ნაღმდეგოდ.

კასეტური საბრძოლო მასალების კონვენციის მიღება ცხადყოფს იმას, რომ კასეტური საბრძოლო მასალებით მშვიდობიანი მოსახლეობის ზარალი გაცილებით მეტია, ვიდრე ამ იარაღის პოტენციური სამხედრო უპირატესობები.

გვინდა თქვენი ყურადღება გაამახვილოთ რამდენიმე საინტერესო დეტალზე:

1. კონვენციის მიღების თარიღი:

კონვენცია მიღებულ იქნა 2008 წლის 30 მაისს. მას ხელი მოაწერა დუბლინის (ირლანდიის) დიპლომატიურ კონფერენციაში მონაწილე 107-მა სახელმწიფომ.

კონვენცია კასეტური საბრძოლო მასალების შესახებ ხელმოსაწერად 2008 წლის 3 დეკემბერში ოსლოს (ნორვეგიის) ოფიციალურ ცერემონიაზე გაიხსნა. ცერემონიის დროს კონვენციას 94-მა სახელმწიფომ ხელი მოაწერა, ოთხმა სახელმწიფომ რატიფიცირების სიგელები წარმოადგინა. მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა, რომლებმაც ოსლოს კონვენციას ხელი არ მოაწერეს, განაცხადეს, რომ კონვენცია განსახილველად მიიღეს და განზრახული აქვთ მას უახლოეს მომავალში ხელი მოაწერონ.

დამატებით წარმოგიდგინთ იმ სახელმწიფოების ჩამონათვალს, რომლებმაც ხელი მოაწერეს კონვენციას, ასევე იმ სახელმწიფოების ჩამონათვალს, ვინც იყენებს და ინახავს კასეტურ იარაღს და ასევე ვინც დაზარალდა ამ იარაღის გამოყენებით.

კასეტური საბრძოლო მასალები – ეს ჩვეულებრივი საბრძოლო მასალაა, რომელიც განკუთვნილია იმისთვის, რათა გაფანტოს ან გამოუშვას ფეთქებადი სუბ-საბრძოლო მასალები, რომელთაგან თითოეულის მასა 20 კგ-ს არ აღემატება და მოიცავს ამ ფეთქებად საბრძოლო მასალებს.

კონვენციის გაგებით ზოგიერთი საბრძოლო მასალა რომელიც სუბ-საბრძოლო მასალისაგან შედგება „კასეტური საბრძოლო მასალების“ რიცხვს არ მიეკუთვნება. „კასეტური საბრძოლო მასალა“ არ აღნიშნავს შემდეგს:

- საბრძოლო მასალა ან საბრძოლო სუბ-მასალა, რომელიც განკუთვნილია იმისათვის, რათა გაფანტოს სანათი ვაზნები, კვამლი, პიროტექნიკური საშუალებები ან დიპოლური ამრეკლები; ან საბრძოლო მასალას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მიზნებისთვის არის განკუთვნილი;

- საბრძოლო მასალა ან საბრძოლო სუბ-მასალა, რომელიც განკუთვნილია ელექტრული ან ელექტრონული ზემოქმედების მოსახდენად;

- საბრძოლო მასალა, რომელსაც განურჩეველი ტერიტორიული ზემოქმედებისა და აუფეთქებელი საბრძოლო სუბ-მასალების მიერ შექმნილი რისკებისა და აუფეთქებელი საბრძოლო სუბ-მასალების მიერ შექმნილი რისკების თავიდან აქვს შემდეგი მახასიათებლები:

- თითოეული საბრძოლო მასალა შეიცავს ათზე ნაკლებ ფეთქებად საბრძოლო სუბ-მასალას;

- როდესაც თითოეული ფეთქებადი საბრძოლო სუბ-მასალა იწონის ოთხ კილოგრამზე მეტს;

- როდესაც თითოეული ფეთქებადი საბრძოლო სუბ-მასალა განკუთვნილია ერთი მიზნის აღმოსაჩენად და დასაზიანებლად;

- როდესაც თითოეული ფეთქებადი საბრძოლო სუბ-მასალა აღჭურვილია თვითგანადგურების ელექტრონული მექანიზმით;

- თითოეული ფეთქებადი საბრძოლო სუბ-მასალა აღჭურვილია თვითდეაქტივაციის ელექტრონული ელემენტით;

დღესდღეობით სახელმწიფოების განკარგულებაში ასეთი მახასიათებლების მქონე სისტემები ძალიან მცირე რაოდენობითაა.

3. კონვენციის მიერ დაწესებული აკრძალვები

კონვენცია კასეტური საბრძოლო მასალების შესახებ კრძალავს კასეტური საბრძოლო მასალების გამოყენებას, დამუშავებას, წარმოებას, შექენას, დაგროვებას, შენახვასა და გადაცემას. ის ასევე კრძალავს დახმარებას, ნახალისებას ან ვინმესთვის ძალდატანებას, რათა ეს უკანასკნელი ჩაებას ჩამოთვლილი საქმიანობებში. როგორც კი სახელმწიფო ხდება კონვენციის მონაწილე, ის ვალდებულია დაიცვას ეს აკრძალვები.

კონვენცია კასეტური საბრძოლო მასალების შესახებ ყველა კასეტურ საბრძოლო მასალას კრძალავს, რომელიც ბოლო სამოცი წლის მანძილზე შეირაღებული კონფლიქტების დროს გამოიყენება და რომლებიც ზემოთ აღწერილი პრობლემების წარმოშობას განაპირობებს.

4. სახელმწიფოების ვალდებულებები კონვენციასთან შესაბამისობაში

კონვენციასთან შესაბამისობაში სახელმწიფოები საკუთარ თავზე ვალდებულებას იღებენ აუფეთქებელი კასეტური საბრძოლო მასალებით დანადგომული ტერიტორიები დაასუფთავონ (ან განმინდონ) 10 წლის მანძილზე იმ მომენტიდან როცა ეს სამართებლივი ინსტრუმენტი ძალაში შევა. ისინი ასევე თანახმა არიან, რომ თავიანთი კასეტური საბრძოლო მასალების მარაგი განადგურონ 8 წლის მან-

ძილზე.

ამასთან ერთად მონაწილე ქვეყნებმა, რომელთა ტერიტორიაზე ან რომელთა მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფება კასეტური საბრძოლო მასალების აფეთქების მსხვერპლი, უნდა აღმოუჩინონ მათ სამედიცინო დახმარება, უნდა მოემსახურონ რეაბილიტაციის და ფსიქოლოგიური თანადგომის მიზნით, ასევე უნდა იზრუნონ იმაზე, რომ მოხდეს საზოგადოებაში მათი ინტეგრაცია.

კონვენციის დებულება მსხვერპლისათვის დახმარების განწვევის შესახებ “მსხვერპლის” ცნების ყოვლისმომცველ განსაზღვრას გულისხმობს, რომელიც არამხოლოდ დაზარალებულებს მოიცავს, არამედ მათი ოჯახის წევრებსა და დაზარალებულ საზოგადოებას.

კონვენცია მოითხოვს ასევე, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა, რომლებიც შესაფერის სახსრებს ფლობენ გაუწიონ ტექნიკური, მატერიალური და ფინანსური დახმარება კონვენციის მონაწილე დაზარალებულ სახელმწიფოებს მათი მოვალეობების შესასრულებლად.

5. თანამშრომლობა იმ ქვეყნებთან რომლებიც არ არიან კონვენციის წევრები და იყენებენ კასეტურ საბრძოლო მასალებს.

კონვენცია არ აიძულებს სახელმწიფოებს იმ ქვეყნებთან სამხედრო თანამშრომლობაზე უარის თქმას, რომლებიც კონვენციის წევრები არ არიან და რომელთაც შეუძლიათ კასეტური საბრძოლო მასალების გამოყენება. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ კონვენციის დებულებების შესრულებას; გარდა ამის ერთობლივი სამხედრო ოპერაციებს არ უნდა ერთვოდეს კასეტური საბრძოლო მასალების გამოყენება.

6. კონვენციის წევრობა

კონვენცია კასეტური საბრძოლო მასალების შესახებ ხელმოსაწერად 2008 წლის 3 დეკემბერში ოსლოს (ნორვეგიის) ოფიციალურ ცერემონიაზე გაიხსნა. მიუხედავად იმისა, რომ ოსლოში ხელის მოწერის ცერემონია დასრულდა, სახელმწიფოებს ჯერ კიდევ შეუძლიათ კონვენციას ხელი მაონწერონ ნიუ-იორკში გეროს—ის შტაბ-ბინაში.

შეთანხმების ხელმოწერით სახელმწიფო ახდენს კონვენციის ტექსტის საბოლოო ვარიანტის დამოწმებას და გამოხატავს თავის განზრახვას დაიწყოს მომავალში მისი რატიფიკაციის მიმართულებით მოძრაობა.

კონვენციის ხელმოწერა და რატიფიცირება მნიშვნელოვანი ნაბიჯებია იმის უზრუნველსაყოფად, რომ კონვენციამ შეძლოს კონკრეტული მსხვერპლისა და დაზარალებული ქვეყნებისათვის იმ დანაპირებების რეალიზება, რომელიც მასში არის ჩადებული.

7. კონვენციის ძალაში შესვლა

კონვენცია ძალაში შედის 6 თვეში მას შემდეგ, რაც რიგით 30-ე სახელმწიფო თავის რატიფიცირებულ დოკუმენტს გადასცემს გაეროს გენერალურ მდივანს. როდესაც ეს მოხდება კონვენციის დებულებები ამ 30 ქვეყნისათვის ფორმალური ვალდებულება გახდება. ყოველი შემდეგი სახელმწიფოსათვის კონვენცია ძალაში შედის 6 თვეში მას შემდეგ, რაც ეს სახელმწიფო თავის რატიფიცირებულ დოკუმენტს გაეროს გენერალურ მდივანს გადასცემს.

8. კონვენციის იმპლემენტაციისათვის ნაციონალურ დონეზე მისაღები ზომები

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან კონვენციის იმპლე-

მენტაციისათვის ყველა შესაძლო სამართლებრივი, ადმინისტრაციული ან სხვა ზომები მიიღონ. ასეთი ზომები მოიცავს მასში კანონმდებლობის მიღებას, რომელიც გულისხმობს სადამსჯელო სანქციებს შემოღებას კონვენციის აკრძალული ქმედებების თავიდან არიდებისა და ჩახშობის მიზნით, ყოველწლიური ანგარიშის ჩაბარებას გაეროს გენერალური მდივნისათვის იმპლემენტაციის პროცესის მსვლელობის შესახებ, კონვენციის წევრი სახელმწიფოების რეგულარულ შეხვედრებში მონაწილეობა იმპლემენტაციის საკითხებისა და ეფექტური პრაქტიკის განხილვის, სამხედრო დოქტრინაში და ოპერატიულ პროცედურებში ცვლილებების შეტანის, ასევე ტერიტორიების განმენდის გეგმის იმპლემენტაციისა, მარაგების განადგურებისა და მსხვერპლისათვის და სხვა ქვეყნებისათვის დახმარების აღმოსაჩნის და სხვა წესების დაცვას, რაზეც ზევით იყო საუბარი.

9. კონვენციის გავლენა

კონვენციის იმპლემენტაციის მიხედვით კონკრეტული დახმარება გაენევა დაზარალებულ საზოგადოებას, მოხდება კასეტური საბრძოლო მასალებით დაბინძურებული ტერიტორიების დასუფთავება, რასაც შეუძლია ადმიანების სიცოცხლის გადარჩენა. გარდა ამისა ხალხს დაუბრუნდება მიწები, რომლებიც გამოიყენებული იქნება სოფლის მეურნეობისა და სხვა სახის საწარმოო საქმიანობის მიზნით.

კონვენცია ასევე ნებას რთავს გაფართოებული ვალდებულებების წყალობით კასეტური საბრძოლო მასალების მსხვერპლთ აღმოუჩინოს განსხვავებული ტიპის დახმარება: სამედიცინო დახმარებისა და სარეაბილიტაციო მომსახურების ჩათვლით.

რაც ყველაზე მთავარია, კონვენციას შეუ-

ძლია თავიდან აიცილოს უზარმაზარი ადამიანური დანაკარგები, ისე როგორც ასობით მილიონი კასეტური საბრძოლო მასალა არასოდეს არ უნდა გამოიყენებოდეს და უნდა დაექვემდებაროს განადგურებას.

ამ კონვენციით შემუშავებული ნორმები პრაქტიკაში აისახება იმ სახელმწიფოების პოზიციებიდან, რომლებიც ამ დოკუმენტს ჯერ არ შეუერთდნენ. კონვენციის მიღებითა და მისი ძალაში შესვლით ბევრი ქვეყანა, ასევე მასობრივი საინფორმაციო საშუალებები და საზოგადოებრიობა კასეტურ საბრძოლო მასალებს უკვე აკრძალული იარაღის კატეგორიას მიაკუთვნებენ. მომავალში ამა თუ იმ ქვეყანაში კასეტური საბრძოლო მასალები რთული გამოსაყენებელი იქნება.

2008 წელს რუსმა აგრესორებმა არაჰუმანური იარაღით – კასეტური და ვაკუუმური ბომბებით შემოგვიტიეს

ნივთმტკიცებები სახეზეა - სოფელ რუისში, კარბში, ბრონლეთში და სხვაგან ჩამოყრილი კასეტური ბომბები, რომელთა ნაწილი არ აფეთქდა.

ფაშისტურ გერმანიას 4 წლის განმავლობაში იმდენჯერ არ დაუბომბავს საქართველო, როგორც ეს ჩვენმა ჩრდილოელმა და უფრო ფაშისტურმა რუსეთმა 4 დღის განმავლობაში გააკეთა!

ყველაზე აღმაშფოთებელი ის არის, რომ რუსეთის არმიამ ქართული ქალაქებისა და სოფლების დასაბომბავად გამოიყენა არაჰუმანური იარაღი – კასეტური და მოცულობით-დეტონირებადი საავიაციო ბომბები, რომელთა აფეთქება მჭიდროდ დასახლებული მშვიდობიანი მოსახლეობის დიდ მსხვერპლს იწვევს.

მიუხედავად რუსეთის გენშტაბის მტკიცე უარისა, არსებობს უტყუარი ნივთმტკიცებები რუსეთის მოიერიშე თვითმფრინავების მიერ სხვადასხვა ადგილას, მათ შორის სოფელ რუისში, ჩამოყრილი კასეტური ბომბების ნარჩენების სახით.

რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაშია 250 და 500 კგ კალიბრის კასეტური ბომბები, რომელთა სახელწოდებაა **РБК** – ერთჯერადი საბომბო კასეტა.

РБК თხელკედლიანი საავიაციო ბომბია, რომელშიც ჩაწყობილია მსხვერვადი, ტანკ-

სანინაალმდეგო ან ცეცხლგამჩენი პატარა ზომის ბომბები.

РБК-ში ტანკსანინაალმდეგო და ქვეითსანინაალმდეგო ნალმებიც თავსდება.

РБК ფორმითა და გაბარიტებით 250 ან 500კგ კალიბრის ფუგასურ ბომბს ჰგავს.

სოფელ რუისში ჩამოგდებული კასეტური ბომბები, სავარაუდოდ, **РБК АО-1** ტიპს განეკუთვნება. მასში განთავსებულია 150 პატარა მსხვერვადი ბომბი. თვითმფრინავის პილონიდან ჩამოვარდნის შემდეგ **РБК** აგრძელებს ფრენას და განსაზღვრულ სიმაღლეზე სპეციალური შიდაამფეთქი ხსნის ბომბის კორპუსს, რის შემდეგაც მიწაზე ეცემა 150 პატარა მსხვერვადი ბომბი, რომლებიც 4800 კვ.მეტრზე ანადგურებს ცოცხალ ძალას.

უფრო მსხვილი კალიბრის რუსულ კასეტურ ბომბში **РБК -500 ШОАБ - 0.5**-ში მოთავსებულია 565 ცალი სფეროსებრი პატარა ბომბი, თითოეული მათგანის მასა 500 გრამია.

РБК-500 АО-2.5 PTM-ში 108 ცალი პატარა ბომბია მოთავსებული. თითოეული ბომბის მასა 2,5კგ-ია.

არსებობს ჯავშანტექნიკის სანინაალმდეგო კასეტური ბომბი **РБК-500 ПТАБ-1М**, რომელშიც 268 ტანკსანინაალმდეგო ელემენტი **ПТАБ-1М** -ია განთავსებული. თითოეული ელემენტის მასა 944 გრამია და სიმაღლიდან დაცემისას 200მმ სისქის მონოლითურ ჯავშანს ხვრეტს.

გარდა **РБК** ტიპის კასეტური ბომბებისა, რუსული ავიაცია ქართველი მოსახლეობის დასაბომბავად იყენებდა **КМГУ-2** ტიპის მცირეგაბარიტიანი ტვირთების კონტეინერს.

KMGY ფორმით ჰგავს ავიაბომბს ან სანვავის ჩამოსაკიდ ავზს და მასში თავსდება 8 ცალი სპეციალური ბლოკი БКФ (საფრონტო ავიაციის საკონტეინერო ბლოკი). თითოეულ БКФ-ში განთავსებულია 12 ცალი 2,5კგ-იანი მსხვრევადი მინიბომბი АО-2,5PT. ასე რომ, რუსული Cy-25 მოიერიშეს ერთ პილონზე ჩამოკიდებულ ერთ KMGY-ში საერთო ჯამში 96 ცალი 2,5კგ-იანი მსხრევად-ფუგასური ბომბი თავსდება. თუკი Cy-25-ის რვა პილონზე რვა KMGY -ს ჩამოჰკიდებენ, მაშინ მსხვრევადი მინიბომბების საერთო რაოდენობა 768 ცალს მიაღწევს...

ახლა წარმოიდგინეთ რუს საჰაერო აგრესორებს, ასეთი კასეტური ბომბებით რა საშინელი ზიანის მიყენება შეუძლია ქართველი მოსახლეობისთვის...

სამწუხაროდ, კასეტური ბომბების გამოყენება, მიუხედავად მათი არაჰუმანურობისა, მთლიანად აკრძალული არ არის და არც რუსეთი, არც აშშ და არც საქართველო არ არიან მიერთებული იმ ქვეყნების სიას, რომლებმაც კასეტური ბომბები კანონგარეშე გამოაცხადეს.

ირაკლი ალადაშვილი

ჟურნალი მომზადებულია ქვეითსანინაალ-მდეგო ნაღმების აკრძალვის საერთაშორისო კამპანიის — საქართველოს კომიტეტის მიერ.

გამოყენებულია Towards mine free world 2009 წლის გამოცემის მასალები

მაია ბუჩუკური
ვახტანგ სურგულაძე
გიორგი ლეკიშვილი
შალვა ბაბუნაშვილი
ამირან ადამია
არჩილ ბარბაქაძე
თამარ ბოდოკია

